# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 20 დეკემბერი 2005 №292 (2615) ფასი 50 თეთრი



## აშვეთია და დემეტრაძე: ქართული შენადნობი უკრაინულ მეტალურგიაში



# რონალდინიო ხაჩატურიანით

## სხვა ვინ?

ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას" ვარსკვლავი რონალდინიო ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ის მესამე ბრაზილიელია, რომელიც პლანეტის უძლიერესად დაასახელეს. მანამდე იყვნენ რონალდო და რივალდო. რონალდინიომ მთელი მსოფლიოს ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებისა და კაპიტნების გამოკითხვაში 956 ქულა დააგროვა და მნიშვნელოვნად გაუსწრო ინგლისელ ფრენკ ლამპარდს. „ჩელსის" ნახევარმცველმა 306 ქულა მიიღო. მესამე ადგილზე კამერუნელი სამუელ ეტოო გავიდა. რონალდინიოს ბარსელონელი თანაგუნდელის მონაგარი 190 ქულა გახლდათ.

ქალთა შორის მსოფლიოს საუკეთესოდ ზედიზედ მესამედ გერმანელი ბირგიტ პრინცი დაასახელეს. მან 513 ქულა მიიღო და ჩამოიტოვა 429 ქულიანი ბრაზილიელი მარტა და 235 ქულიანი ამერიკელი შენონ ბოქსი.

ციურიხის ოპერაში გამართულ შოუს, რომელიც ძირითადად კლასიკური საბალეტო ფრაგმენტებისგან შედგებოდა და ცოტა მოხაწყენი გახლდათ, კარგად უძღვებოდა წარსულში დიდებული ინგლისელი ფორვარდი იან რაიტი, ოდინდელ მის შვეიცარიასთან, ადგილობრივ ტელენამყვან ლოლიტა მორენასთან ერთად.

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა საგანგებო საპრეზიდენტო ჯილდო გადასცა ყოფილ მსაჯს ანდერს ფრისკს, ხოლო პერუს ქალაქი იკიტოსი „ფეარ პლეის" პრიზით დასაჩუქრდა.

გალა წარმოდგენას 150 ტელეკომპანია 160 ქვეყანაში გადასცემდა.



AFP ფოტოიდან

# ტოპი-ჰოპი შედგა

## ტოპმიოლერი ქართველების ელის



კლაუს ტოპმიოლერი ჯერაც ფიქრობს და ელის...

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ტოპ-კანდიდატი კლაუს ტოპმიოლერი ახლა სამშობლოში ისვენებს, თუმც, ჩანს, საქმიან შეხვედრებზეც არ ამბობს უარს. ტოპმიოლერი ჯერ ქართველების საბოლოო წინადადებას ელის, იქამდე კი სათადარიგო ვარიანტებსაც განიხილავს.

ჯერ კიდევ ჰერ კლაუსის თბილისში ჩამოსვლამდე ვწერდით, რომ ტოპი რეგიონალლიგელ „ჰოფენჰაიმის" მთავარი სამიზნე იყო. „ჰოფენჰაიმის" მილიარდერმა პატრონმა დიტმარ ჰოპმა კლუბის მოძლიერების გეგმა წარმოადგინა, სამ წელიწადში ბუნდესლიგაში უნდა დავბრუნდეთ, მერე კი ევროპაშიც გავიჭრეთ და საამისოდ სწორედ ტოპმიოლერის ტვინი მჭირდებაო.

გუშინწინ კი ჰოპის და ტოპის შეხვედრაც შედგა. მხარეებმა სამომავლო ურთიერთობებზე ილაპარაკეს, თუმც შეთანხმება, ბუნებრივია, ჯერ არ მიღწეულა.

„გადაწყვეტილება არ მიმიღია. ჩათვალეთ, რომ ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია" — განაცხადა ტოპმიოლერმა, ვინც გერმანულმა პრესამ გუშინ „კიოლნის" მწვრთნელობის მთავარ კანდიდატადაც დაასახელა. „კიოლნმა" ახლახან უვე რაპოლდერი გაათავისუფლა და ახლა სწორედ ჰერ კლაუსს უმიზნებს.

ტოპმიოლერმა, ვისაც, აშკარაა, საკლუბოზე მეტად სანაკრებო, კერძოდ კი, საქართველოს ნაკრებში საქმიანობა ხიბლავს, „კიოლნს" საბოლოო პასუხი ხვალ უნდა უთხრას. საქმესაც ისეთი პირი უჩანს, ჰერ კლაუსი „კიოლნს" უარით გაისტუმრებს.

შეგახსენებთ, რომ „ჰოფენჰაიმისა" და „კიოლნის" გარდა ტოპმიოლერს გელზენკირხენის „შალკეც" ეპატიჟება, ჯერჯერობით ამაოდ.



დიტმარ ჰოპის მილიონებმა ტოპმიოლერი ჯერ ვერ მოხიბლა



გურამ ცოტნიაშვილის ფოტოები

გია გურულმა კახა ცხადაძეს საფრანგეთიდან ფეხბურთელი ჩამოუყვანა

# დინამოს ჟულიენი მიართვეს

**თბილისის** „დინამო“ დღეიდან ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას იწყებს. გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრიბება, ანუ ბაზაზე იქნებიან ის ფეხბურთელებიც, რომლებიც „დინამოს“ განათხოვრებული ჰყავდა. ბაზაზევე დაბინავდა 19 წლის ფრანგი ცენტრალური მცველი ჟულიენ ოლბეკიც. იგი საფრანგეთიდან გუშინ გია გურულთან ერთად ჩამოვიდა.

ოლბეკი საფრანგეთის მე-4 დივიზიონის „დიუნკერში“ თამაშობდა, თბილისის „დინამოში“ კი გასინჯვაზეა. სხვათა შორის, გია გურულმა ფეხბურთელის კარიერა სწორედ „დიუნკერში“ დაასრულა და ოლბექს „დინამოსთან“ რეკომენდაციაც მან გაუწია.

— საქართველოზე ბევრი არაფერი ვიცოდი, თუმც თბილისის „დინამოს“ ტრადიციებზე კი მსმენოდა. როცა თბილისში ჩემი ჩამოსვლის ამბავი გადაწყდა, „დინამოს“ ვებგვერდის მეშვეობით ამ კლუბზე დაწვრილებითი ინფორმაცია მივილე და ხვალ ფეხბურთელების გაცნობა არ გამიჭირდება. ძალიან გამიხარდება, თუ „დინამოსთან“ კონტრაქტს გავაფორმებ — თქვა ჟულიენ ოლბეკმა.

„დინამოს“ პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, ოლბეკი გუნდში შეკრების ბოლომდე დარჩება და კლუბის ხელმძღვანელობა მერე გადაწყვეტს, გაუფორმოს თუ არა ფრანგს კონტრაქტი.

**ქობა ინასარიძე**

# სრეჩკო კატანეცი: თბილისში მაინც ჩამოვალ



**რატომ** არ ჩამოვიდა გუშინ თბილისში ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი სრეჩკო კატანეცი? ამასთან დაკავშირებით ათასი მითქმა-მოთქმაა და ჩვენც თვითონ კატანეცს ვთხოვეთ ახსნა-განმარტება...

— ჩემი და ჩემი აგენტის თბილისში არჩამოსვლა უმნიშვნელო პრობლემამ განაპირობა, ვიზიტი, უბრალოდ, გადაიდო. ჩემს აგენტს ბაირამ თუთუმლუს რაღაც პრობლემები შეექმნა, თორემ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. თბილისში მომავალ კვირას, ალბათ ორშაბათს ჩამოვალ — გვითხრა სლოვენიელმა მწვრთნელმა სატელეფონო საუბრისას.

**დავით თავართქილაძე**

# ჩვენ და გაბონი

## ვინ დაგვაცადა ასეულში...

**საქართველოს** ნაკრები ფიფა-„კოკა კოლას“ ნოემბრის რეიტინგში მე-100 ადგილზე იყო, მაგრამ, ეტყობა, ეს ნამეტანი ფუფუნებაა ჩვენთვის. მოვიდა დეკემბერი და ოთხი საფეხურით ქვემოთ, 104-ე ადგილზე ჩამოვიჩოჩეთ. უფრო სწორად, 104-ე-105-ე ადგილებს ვიყოფთ გაბონთან...

საქართველო რეიტინგით მეშვიდეა პოსტსაბჭოთა ევროპულ ქვეყნებში.

რეიტინგსიას კი, რა ძნელი გამოსაცნობია, ვინ ლიდერობს — ბრაზილიას კარგა ხანს ვერც ვერავინ დაეწევა.

Coca-Cola
FIFA WORLD RANKING

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | (1) | ბრაზილია | 840 | 40 | (40) | უკრაინა | 630 |
| 2 | (2) | ჩინეთი | 806 | 61 | (59) | ბელარუსი | 570 |
| 3 | (3) | ჰოლანდია | 791 | 69 | (70) | ლატვია | 550 |
| 4 | (4) | არგენტინა | 772 | 76 | (77) | ესტონეთი | 543 |
| 5 | (7) | მექსიკა | 768 | 100 | (98) | ლიტვა | 464 |
| 5 | (6) | ესპანეთი | 768 | 104 | (100) | **საქართველო** | 549 |
| 5 | (5) | საფრანგეთი | 768 | 107 | (108) | მოლდოვა | 442 |
| 8 | (8) | აშშ | 767 | 108 | (110) | სომხეთი | 431 |
| 9 | (9) | ინგლისი | 757 | 114 | (115) | აზერბაიჯანი | 394 |
| 10 | (10) | პორტუგალია | 754 | | | | |
| 34 | (34) | რუსეთი | 662 | 137 | (139) | ყაზახეთი | 314 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# დილა ჯარში გაიწვიეს?

## გორის დილა თუ გორის ცსკ...


ირაკლი ოქრუაშვილი

**სადმე** თუ საქართველოს ჩემპიონატზე და ქართულ კლუბებზე ლაპარაკს შეესწრებით, შანსი არაა, იქ გორის „დილას“ საცოდაობა არ ახსენონ. უპატრონოდ დარჩენილ კლუბს ისე გაუჭირდა, გასვლით მატჩებზე ლიტრობით გამოზოგილ საწვავს ასხამდა ავტობუსში და ბევრჯერ ისე ყოფილა, თამაშის დაწყებამდე ოცი-ოცდახუთი წუთით ადრე ჩასულა დათქმულ ადგილას. ასეთ პირობებში მოგებაზე და, მით უმეტეს, ფრთოსან პერსპექტივაზე ლაპარაკი ზედმეტია...

გამოსავალი? როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, გორის „დილა“ თავდაცვის სამინისტროს კლუბად იქცეს. ზოგი ამბობს, ეს ჭორის დონეზე ითქვაო, თუმც „დილას“ გასამხედროებაზე ლამის ნახევარი გორი ლაპარაკობს. ჯერჯერობით ეს ჩანს კლუბის გადარჩენის ერთადერთ გზად, თორემ ჯიბესქელი ბიზნესმენების „დილაში“ მისვლის პერსპექტივაზე იქაურებს მწარედ ეცინებათ, ასეთი შანსი უკვე იყო და არაფერი გამოვიდაო.

„დილას“ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლა მთლად არარეალურიც არ უნდა იყოს. როგორც იცით, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი წარმოშობით გორის რაიონიდანაა და... ისე, სამინისტროს პრეს-ცენტრში გვითხრეს, ასეთ ინფორმაციას ჩვენ არ ვფლობთო.

**ილია ნანობაშვილი**

# 5 იანვარი: ქართველები ოსეთში, ხორვატი თბილისში

**რუსული** პრემიერლიგიდან პირველ დივიზიონში ჩაქვეითებულმა ვლადიკავკაზის „ალანიამ“ თავისი ფეხბურთელები, მათ შორის ქართველებიც, 5 იანვარს დაიბარა. ჯაბა კანკავას, გიორგი შაშიაშვილის, დავით კვირკველიას, ლადო ბურდულის, ლევან გვაზავას და ვიტალი დარასელიას საკითხი ჯერ გაურკვეველია, თუმც, სავარაუდოდ, მათ „ალანია“ გაანათხოვრებს ან მცირე თანხის საფასურად მისცემს გათავისუფლების ფურცელს, რადგან პირველ დივიზიონში ლეგიონერების ყოლას არ აპირებს.

იმავ 5 იანვარს კი თბილისში ჩამოდის „დინამოსა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ივო შუშაკი, რომელმაც შესაძლოა, რამდენიმე ალანიელი თავისთან, ხორვატიულ „ოსიეკში“ მიიწვიოს.

**დავით თავართქილაძე**

# ბესიკ მიქიაშვილი: კურორტიდან დედაქალაქში


გურამ ცოტნიაშვილის ფოტო

**„თბილისიდან“** „ბორჯომში“ სეზონის წინ განათხოვრებული მცველი ბესიკ მიქიაშვილი ძველ გუნდს დაუბრუნდა.

მიქიაშვილს „ბორჯომში“ საქმეები რიგიანად ვერ აეწყო, ძირითად შემადგენლობაში თამაში ხშირად არ უწევდა და ეტყობა, ამან გადააწყვეტინა „თბილისში“ დაბრუნება, რაც ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერისთვის უმნიშვნელო შევსება არ უნდა იყოს. მით უმეტეს, გამოუცდელი ბიჭებით დაკომპლექტებულ გუნდს პირველ წრეში „სოხუმის“ მერე ყველაზე მეტი, 29 ბურთი აქვს გაშვებული.

ვნახოთ, როგორ დაეტყობა მიქიაშვილი თბილისელთა დაცვას.

**ბახა შალამბერიძე**

**ჰოლანდია**
მეორე დივიზიონი
XXIII ტური
აპელდორნი 0:1 ვოლენდამი
პსვ (მ) 2:4 ჰაარლემი

**საბერძნეთი**
ნაციონალლიგა
XIV ტური
აკრატიტოსი 2:0 ქსანთი

**ინგლისი**
ჩემპიონატი. XXIV ტური
ქპრ 0:1 ქოვენთრი

**გერმანია**
II ბუნდესლიგა. XVII ტური
პადერბორნი 2:0 კარლსრუე

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. XIX ტური
გრენობლი 1:0 კრეტეი





# აშვეთია და დემეტრაძე: ქართული შენადნობი უკრაინულ მეტალურგიაში

**დიდი შანსია**, მიხეილ აშვეთიამ და გიორგი დემეტრაძემ დონეცკის „მეტალურგში“ ითამაშონ. ეს ინფორმაცია გუშინ მოვიპოვეთ და ისიც შევიტყვეთ, რომ ტრანსფერების განხორციელებას მხოლოდ ფინანსური შეთანხმებაღა აკლია. უფრო ზუსტად, დონეცკელებს მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და ვლადიკავკაზის „ალანიასთან“ შეთანხმება სჭირდებათ.

აშვეთია სამიოდ დღის წინ ჩავიდა უკრაინაში და „მეტალურგის“ თავკაცობას პირობებზე მოელაპარაკა, მსგავსსავე სიტუაციაშია დემეტრაძეც, ვისზეც „მეტალურგის“ გენერალურმა დირექტორმა ვარდან ისრაელიანმა თქვა, მის გადმოყვანაში ხელს ფაქტობრივად აღარაფერი გვიშლისო.

შეგახსენებთ, რომ დემეტრაძემ დონეცკი ამ სეზონის წინ დატოვა და „ალანიაში“ გადავიდა, თუმცა ვლადიკავკაზელთა პრემიერლიგიდან გავარდნამ „დემე“ სწორედ იქით გაახედა, სადაც წლების განმავლობაში გუნდის ლიდერად ითვლებოდა.

**ძაჰა შალამბერიძე**

# ფოფხაძეს სიტყვა ნინიადისმა შეაწია

**ბერძნული** „ოლიმპიაკოსის“ მხრიდან თბილისის „თბილისის“ მცველ გიორგი ფოფხაძით დაინტერესების შესახებ ინფორმაცია ახალი არ გახლავთ. ჩვენი ბერძენი კოლეგები თითქმის ყოველდღიურად ავრცელებენ ცნობებს სავარაუდო ტრანსფერთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, გასაკვირია, რომ თავად ფოფხაძემ არაფერი იცის ბერძენთა გეგმების შესახებ და ელის, როდის გამოჩნდება მავანი კეთილისმსურველი, რომელმაც მას ბერძნული გრანდის ხელმძღვანელობასთან რეკომენდაცია გაუწია.



როგორც აღმოჩნდა, ინკოგნიტო კეთილისმსურველი ჩვენებური ანდრო ნინიადისია. მან აქტიური საფეხბურთო კარიერა დაასრულა და ახლა „ოლიმპიაკოსის“ სკაუტია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. სწორედ ნინიადისს მიუწოდებია ბერძნებისთვის ინფორმაცია გიორგი ფოფხაძის შესახებ.

გუშინ კიდევ ერთხელ შევეხმიანეთ ჩვენს ბერძენ კოლეგა სოფის ვოინიკასს, რომელმაც ეს გვითხრა: „ამ შესაძლო ტრანსფერის შესახებ კლუბის ოფიციალური წარმომადგენლებისგან შევიტყვე. მათი თქმით, დეკემბრის ბოლოს ან იანვრის დასაწყისში ფოფხაძე „ოლიმპიაკოსში“ ერთკვირიან გასინჯვაზე უნდა ჩამოვიდეს. მასთან ერთად კლუბის ხელმძღვანელობისთვის თავის მოწონებას ერთი კამერუნელი, ერთი ნიჯერიელი და ერთიც მაროკოელი შეეცდებიან“.

**გიორგი ნოზაძე**

## ქართველები უცხოეთში

# ევროგოლები მორჩა, ახლა ჩურჩხელა და გოზინაყი

*ესეც ასე: მორიგი ლეგიონერული წელიც დასრულდა. ეს მიმოხილვა ბოლოა, რომელსაც „სარბიელში“ 2005 წელს წაიკითხავთ, რუბრიკას კი იანვარში განვაახლებთ...*



შოთა არველაძე

***კახა კალაძემ ისევ დაცვის ცენტრში ითამაშა და საკმაოდ საიმედოდაც.*** კარლო ანჩელოტის ახლებურ ტაქტიკას ჩვენებურმა იოლად აუღო ალღო და აგერ, უკვე მესამე თამაშია, მწვრთნელს თავს აწონებს. „მილანმა“ 4:0 მიანგრია „მესინა“ და სატურნირო ცხრილში „ფიორენტინას“ გადაასწრო.

***გერმანიაში დისკვალიფიკაციამოხდილი ლევან ცქიტიშვილი დაბრუნდა,*** თუმც ამჯერად ტრავმირებულ *ლევან კობიაშვილს* არ უთამაშია.

ცქიტიშვილის „ვოლფსბურგმა“ 2:3 წააგო „კაიზერსლაუტერნთან“, უკობიაშვილო „შალკემ“ კი „შტუტგარტთან“ ვერ გააწყო ვერაფერი და 0:2 წააგო.

***შოთა არველაძის გოლის გარეშე მოიგო „ალკმაარმა“*** და ჯერჯერობით პირველ ადგილსაც ინარჩუნებს. ალკმაარელებმა „ვალვაიკი“ იოლად (3:0) დაჩაგრეს, შოთამ კი ძალიან მაგრად ითამაშა, ორი საგოლე პასიც გააკეთა, 76-ე წუთზე კი მწვრთნელმა შეცვალა.

***კვიპროსის ჩემპიონატში კვლავაც მძიმედ გამოიყურება „ანართოსისი“.*** კუნძულელთა მოქმედი ჩემპიონი ქულებს ანიავებს და ძნელი სათქმელია, შეინარჩუნებს თუ არა ტიტულს. „ანართოსისი“ ამჯერად „აპოლონს“ გაეყარა ფრით, თუმც ცოტა რომ გამართლებოდა, სამ ქულას აიღებდა — „აპოლონმა“ ბოლო წამზე გაუთანაბრა *თემურ ქეცბაიას* გუნდს.

**ძაჰა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | მესინა 4:0 | 90 | | 8 | 1 | 3 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | შტუტგარტი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 0 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | ლაუტერნი 2:3 | 90 | | 13 | 0 | 13 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ფიურტი 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 16 | 1 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ფიურტი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ფულემი 1:2 | 90 | | 12 | 0 | 12 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | ვალვაიკი 3:0 | 76 | 2 საგოლე პასი, შეცვალეს | 16 | 13 | 1 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ჰერენვენი 1:3 | 90 | | 7 | 0 | 14 |
| **უკრაინა. თასის მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | კრივბასი 3:0 | 47 | შეცვალეს | | | |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | მ. ზაპოროჟიე 0:3 | 90 | | | | |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | შ | მ. დონეცკი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აპოლონი 1:1 | 90 | საგოლე პასი | 9 | 2 | 4 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | შ | აპოლონი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 10 | 2 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | აპოლონი 1:1 | 40 | შეცვალეს | 4 | 0 | 4 |
| ლევან ქებაძე | აშნა | შ | პარალიმნი 0:1 | 60 | შეცვალეს | 9 | 2 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## სიონი

# ბოლნისელთა რუსული კონტური

## როგორ შეხვდება სიონი გაზაფხულს?

**ბოლნისური** „სიონი" ალბათ არსებობის განმავლობაში საუკეთესო სეზონსატარებს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ამის თქმის უფლებას არა მხოლოდ ქვემოქართლელთა მიერ პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში დაკავებული ადგილი, არამედ, მათ მიერ ნაჩვენები თამაშის ხარისხიც გვაძლევს.

„სიონს" ოფიციალურად ორი პატრონი ჰყავს, რომლებიც კლუბზე უფლებებს საზიაროდ ფლობენ. როგორც რაიონის გამგეობა აცხადებს, მეორე თანასწორუფლებიანი მეწილე — „მადნეული" კარგა ხანია, კლუბის შენახვაში არანაირ მონაწილეობას აღარ იღებს. ამ თემას კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით, მანამ კი ის ვთქვათ, რომ ბოლნისის რაიონის გამგეობამ შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა და თუ სიონელებს პირველი წრის განმავლობაში ხელფას-პრემიები თავზე არ გადასდიოდათ, არც საწუწუნოდ ჰქონიათ საქმე.

სტაბილური დაფინანსების პირობებში შესაძლებელი გახდა სეზონის დაწყების წინ რამდენიმე კვალიფიციური ფეხბურთელის დამატება, ამათ „დინამოდან" იჯარით აყვანილი რამდენიმე მოთამაშეც დაემატა და ჩამოყალიბდა საკმაოდ სოლიდური ღერძი, რომლის გარშემოც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა სრულიად ახალი „სიონის" შენება დაიწყო.

ყველა სხვა ფეხბურთელის მიმართ პატივისცემის მიუხედავად, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ბოლნისელთა წარმატება ნახევარდაცვაში დავით ბოლქვაძისა და გრიგოლ დოლიძის კარგმა თამაშმა, თავდასხმაში კი ჯაბა დვალის ჩაუქობამ განაპირობა.

კარგად გვახსოვს წინა წლების ბოლნისური „სიონი", რომლის მთავარი კოზირიც უპირველესად საკუთარი კედლები და ერთგული ქომაგი იყო. „ალას და ფანების" კეთილგანწყობა და თანადგომა ქვემოქართლელთა ჯილას არც წელს მოჰკლებია. უფრო მეტიც: კლუბის ხელმძღვანელობის დახმარებით ხერხდებოდა ქომაგთა გარკვეული ჯგუფის ხლება გასვლით შეხვედრებზეც. მთლად ამას ვერ მივაწერთ, მაგრამ ფაქტია, რომ სასტარტო ტურში თბილისურ „ლოკომოტივთან" 1:1 დასრულებული შეხვედრის შემდეგ „სიონმა" მიჯრით შვიდჯერ იმარჯვა და გათამაშების ცხრილს დამსახურებულად მოექცა სათავეში. ბოლნისელთა ტრიუმფალური სვლა თბილისის „დინამომ" შეაჩერა, რასაც ორი ტურის შემდეგ კიდევ ერთი, გაცილებით მტკივნეული მარცხი მოჰყვა მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან" — „სიონი" მეორე ტაიმის დებიუტში პენალტით დაწინაურდა, მისი უშუალო კონკურენტი კი რიცხობრივ უმცირესობაში დარჩა. ამის მიუხედავად, „ვიტ ჯორჯიამ" ბოლო 20 წუთში თამაშში გარდატეხა შეიტანა და გამარჯვებაც მოახერხა. მოგვიანებით ხვიჩა ქასრაშვილმა მარცხის გამო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. ამით ახალგაზრდა მწვრთნელმა უმაღლ საკუთარ პროფესიონალიზმს გაუსვა ხაზი და კლუბის ხელმძღვანელობაც სავსებით მართებულად მოიქცა, როცა არ გაამართლა მოარული ხმები მთავარი მწვრთნელის გუნდიდან გაშვების შესახებ.

პირველი წრის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, „სიონს" სავსებით რეალურად შეუძლია, პრეტენზია განაცხადოს ერთ-ერთ ევროსაგზურზე, თუმცა ამ გუნდის პერსპექტივა უკვე დაგროვილი ქულების გარდა, უამრავ ნიუანსზე იქნება დამოკიდებული. „სიონი" უკვე დატოვა ლიდერთა სამეულმა დოლიძის, ბოლქვაძისა და ჩიკვილაძის შემადგენლობით, რომლებიც თბილისის „ამერში" შეხვდებიან მეორე წრეს. ამას გარდა, „დინამომ" თავისთან უხმო იჯარით გაშვებულ ჯაბა დვალს, ლევან ხმალაძეს, გიორგი ქუცურუას, გიორგი კვიტაიშვილს... ჯერაც უცნობია, ამ ფეხბურთელთაგან რომელს დაიტოვებს კახა ცხადაძე და რომელს მისცემს უფლებას, კვლავაც „სიონის" მაისურით იბურთაოს. ხვიჩა ქასრაშვილს კი აშკარად გაუჭირდება ხსენებული ფეხბურთელების სრულფასოვანი შემცვლელების მოძებნა, არადა, ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული კლუბის პატრონაჟთან დაკავშირებული საკითხებიც.

„მადნეული" რუსულმა „პრომინვესტის" შვილობილმა ინგლისურმა კომპანიამ დაისაკუთრა. როგორც ქვემო ქართლის უმსხვილესი საწარმოს ახალი მესვეურები აცხადებენ, გადაწყვეტილი აქვთ, „სიონი" ევროპული დონის კლუბად აქციონ და საამისო სახსრები, რაღა თქმა უნდა, მოეძებნებათ. „პრომინვესტი" ოფიციალურად სულ ხუთი დღის წინ ჩაუდგა კომბინატს სათავეში და თუ მათი დანაპირები რეალობად იქცა, გაზაფხულის დადგომას „სიონი" კიდევ უფრო მოფერიანებული შეხვდება. რაც შეეხება ბოლნისის გამგეობას, წინააღმდეგი არ არის, მისი კუთვნილი 50-პროცენტიანი წილიც გადაულოცოს. „პრომინვესტს", რომელიც კლუბში ინვესტიციების ჩადების აუცილებელ წინაპირობად მასზე სრული კონტროლის დამყარებას მიიჩნევს.

დღევანდელი გადასახედიდან პროგნოზების გაკეთება მეტისმეტად რთულია. „სიონის" მომავალს ძალიან ბევრი „თუ" და „მაგრამ" ახლავს. ამის მიუხედავად, იმედია, მისი დღევანდელი მფლობელები არ დაუშვებენ ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერთაგანის დამცრობა-დაკნინებას და გამოზამთრებული „სიონი" ისევ სერიოზულ მიზნებს შეეჭიდება.

**გიორგი ნოზაძე**



ხვიჩა ქასრაშვილი და მისი რაზმი



დავით ბოლქვაძემ (№17) და „სიონმა" პირველი წრის უსუსტესი მატჩი „დინამოსთან" ჩაატარეს

**პირველი ტური**
1 აგვისტო, ორშაბათი
ლოკომოტივი 1:1 სიონი

**მეორე ტური**
6 აგვისტო, შაბათი
სიონი 2:0 დილა

**მესამე ტური**
20 აგვისტო, შაბათი
ბათუმი 0:1 სიონი

**მეოთხე ტური**
28 აგვისტო, კვირა
სიონი 2:0 კოლხეთი

**მეხუთე ტური**
9 სექტემბერი, პარასკევი
სოხუმი 1:2 სიონი

**მეექვსე ტური**
17 სექტემბერი, შაბათი
სიონი 4:1 კახეთი

**მეშვიდე ტური**
26 სექტემბერი, ორშაბათი
თბილისი 1:2 სიონი

**მერვე ტური**
1 ოქტომბერი, შაბათი
სიონი 1:0 ზესტაფონი

**მეცხრე ტური**
16 ოქტომბერი, კვირა
დინამო 3:0 სიონი

**მეათე ტური**
23 ოქტომბერი, კვირა
სიონი 6:1 ცხინვალი

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია 2:1 სიონი

**მეთორმეტე ტური**
5 ნოემბერი, შაბათი
სიონი 1:0 ბორჯომი

**მეცამეტე ტური**
14 ნოემბერი, ორშაბათი
სპარტაკი 1:1 სიონი

**მეთოთხმეტე ტური**
19 ნოემბერი, შაბათი
ამერი 0:1 სიონი

**მეთხუთმეტე ტური**
26 ნოემბერი, შაბათი
სიონი 3:1 ტორპედო






ჯაბა დვალი

მეგოლეები
11 — ჯაბა დვალი
6 — გრიგოლ დოლიძე
5 — კოკა მიკუჩაძე
3 — დავით ბოლქვაძე
1 — თენგიზ ჩიკვილაძე
ლევან ხმალაძე
გიორგი ქუცურუა

**სიონი პირველ წრეში**

15 თამაში, 11 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, ბურთები 28:12, 35 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დილა



თამაზ ილურიძეს და „დილას“ მეტოქეების გარდა გაჭირვებაც მაგრად უტევდა



პირველ წრეში გორელთაგან თუ ვინმე გამოირჩეოდა, ერთ-ერთი ქრისტეფორე შატაკიშვილი (№18) იყო

# გშია? ითამაშე!

## გორელებს ნისიები მობეზრდათ

მეორე წელია, გორის „დილას“ გორული ვაშლივით ტკბილი პერიოდი არ უდგას. შარშან გუნდმა ფორთხვა-ფორთხვით დაასრულა ჩემპიონატი, რამდენჯერმე ფეხბურთელებმა მინდორზე გასვლაც იუარეს და ზედ თამაშის დაწყების წინ მოიბრუნეს გული.

„დილასთვის“ შედეგი უკვე აღარაფერს ნიშნავდა — ოღონდ მალე ჩამთავრდეს სეზონიო, ტურებს ითვლიდნენ მოთამაშეები და თან ხუმრობდნენ, მატჩზე არგამოცხადებისთვის 0:3 წაგებას ჩაგვითვლიან, ეგ ანგარიში კი ჩვენთვის მოგების ტოლფასიაო. მოკლედ, უმწარესი რეალობა იყო გორელებისთვის წინა სეზონი...

„დილას“ თექვსმეტგუნდიანმა ჩემპიონატმა უშველა: ქართლელებს პირველი ლიგის ნაცვლად უმაღლესი ლიგა უბოძეს, მაგრამ კლუბი დაშლის პირას იყო.

„დილას“ დაპატრონება ჯერ გოჩა ძასოხოვმა, შემდეგ კი გიორგი ნემსაძემ ინდომეს, მაგრამ მეტისმეტად დიდი ფასის გამო უარი თქვეს.

„ამხელა ფული გადავიხადოთ და ნულს ქვემოდან დავიწყოთ მუშაობა, ასე არ გამოვა. „დილა“ ახლიდან ასაშენებელი კლუბია, ფაქტობრივად, იქ არაფერი არ არსებობს“ — თქვა მაშინ ნემსაძემ.

ქართლელებს ძლივძლივობით „კასპიცემენტმა“ და რამდენიმე ბიზნესმენმა შეაწიეს თანხა. რაც იყო, იყო: „დილამ“ თბილისის „სპარტაკთან“ საშინაო მოგებით დაიწყო სეზონი და სიმეტრიულობას მიჰყვა, ანუ შინ თითქმის ყველას უგებდა, სტუმრად კი ქულასაც ვერ მოულობდა.

გორში თამაში ძალიან ძნელიაო, ადრეც ხშირად უთქვამთ და ასეც ხდებოდა: ვლადიმერ ხაჩიძის გაწვრთნილმა „დილამ“ საწყის 10 ტურში 15 ქულას უწია, მაგრამ უფულობამ ისევ წამოყო თავი — ორი თვის ხელფასის დარიგების შემდეგ დაფინანსება გაჩერდა, დაიწყო იავნანასავით დაპირებები, დაყვავებები, არიქა, ოღონდ თქვენ ითამაშეთ და თამაშს ნუ ჩაშლით, მალე გაგისტუმრებთ ხელფას-პრემიებსო. ეს მალე კი არ დადგა...

„მყარი ფინანსები რომ გვქონდეს, ექვსეულში უპრობლემოდ ვიქნებოდით და ევროთასებზე გასასვლელადაც ვიბრძოლებდით. ჩვენ და, მაგალითად, „დინამო“ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ვართ. სად მათი პირობები და სად ჩვენი“ — აზვიადებდა თუ არა ვლადიმერ ხაჩიძე, ეს თავად განსაჯეთ, მაგრამ წონით კატეგორიებს კი ზუსტად საზღვრავდა.

და მაინც, მშიერი „დილა“ იმდენს ახერხებდა, რომ „სოხუმთან“ 5:0 და „თბილისთან“ 3:0 მოეგო, ან „ბორჯომთან“ სტუმრად მხოლოდ ბოლო წუთზე გაშვებული გოლით წაეგო. ქართლელთა საპირველწრეო ლიდერად ქრისტეფორე შატაკიშვილი უნდა ჩაითვალოს, რომელიც ერთი მეკარედ არ მდგარა, თორემ ლამის ყველა პოზიციაზე ითამაშა და გოლებიც შეაგდო.

„დილა“ ახლა მეთერთმეტე ადგილზეა და 11 ქულითაა დაშორებული გასავარდნ ზონას, თუმც არაა გამორიცხული, იგი თავისით გავარდეს, რადგან ნისიაზე თამაში ყველას მობეზრდა...

რა ხდება ახლა გორში? გუნდი 10 იანვარს შეკრებაზეა დაბარებული, მაგრამ ყველა ფეხბურთელი წასვლას ეშურება. კლუბი ან იქნება, ან არა.

როგორც იტყვიან, „პრაზდნიკებიც“ გადაივლის და გამოჩნდება...

**ილია ნანობაშვილი**

**პირველი ტური**
30 ივლისი, შაბათი
დილა 1:0 სპარტაკი

**მეორე ტური**
6 აგვისტო, შაბათი
სიონი 2:0 დილა

**მესამე ტური**
20 აგვისტო, შაბათი
დილა 2:0 ტორპედო

**მეოთხე ტური**
29 აგვისტო, ორშაბათი
ლოკომოტივი 2:1 დილა

**მეხუთე ტური**
10 სექტემბერი, შაბათი
დილა 0:1 ამერი

**მეექვსე ტური**
17 სექტემბერი, შაბათი
დილა 2:0 ბათუმი

**მეშვიდე ტური**
25 სექტემბერი, კვირა
კოლხეთი 2:1 დილა

**მერვე ტური**
1 ოქტომბერი, შაბათი
დილა 5:0 სოხუმი

**მეცხრე ტური**
15 ოქტომბერი, შაბათი
კახეთი 3:0 დილა

**მეათე ტური**
22 ოქტომბერი, შაბათი
დილა 3:0 თბილისი

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
ზესტაფონი 2:0 დილა

**მეთორმეტე ტური**
6 ნოემბერი, კვირა
დილა 0:2 დინამო

**მეცამეტე ტური**
13 ნოემბერი, კვირა
ცხინვალი 2:2 დილა

**მეთოთხმეტე ტური**
19 ნოემბერი, შაბათი
დილა 1:3 ვიტ ჯორჯია

**მეთხუთმეტე ტური**
26 ნოემბერი, შაბათი
ბორჯომი 4:3 დილა






კობა ხანიშვილი

მეგოლეები
6 — კობა ხანიშვილი
4 — ალექსანდრე ლაბაძე
საბა სულთანიშვილი
3 — ქრისტეფორე შატაკიშვილი
2 — კახა წუწუნავა
მიხეილ თაყაძე

**დილა პირველ წრეში**

15 თამაში, 5 მოგება, 1 ფრე, 9 წაგება, ბურთები 21:23, 16 ქულა

# პირლო და მისი ადიდასის ბურთი




„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანიმ საჯაროდ გამოაცხადა, რომ იცის თუ რატომ გააქვს „სან სიროზე“ გამართულ ყოველ შეხვედრაში ანდრეა პირლოს საჯარიმო დარტყმით გოლი. მართლაც, შავ-წითელთა და იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა მიმდინარე ჩემპიონატში უკვე მეოთხე გოლი შეაგდო, რასთან დაკავშირებითაც გალიანიმ თქვა:

„მას საშინაო თამაშებში იმიტომ გააქვს გოლები, რომ ჩვენი, „ადიდასის“ ბურთებით ვარჯიშობს. ამ ბურთის წონა სხვა ბურთებთან შედარებით აშკარად სხვაა, რასაც თუნდაც ის ადასტურებს, რომ ამასწინათ, მილანურ დერბიში „ინტერის“ ბურთითაც სცადა დარყმა, მაგრამ ბურთმა უფრო დიდი ხნის ფრენის შემდეგ მოუხვია.“

ანდრეა პირლო 26 წლისაა. ბოლო პერიოდში ის შეიქნა სერია A-ში კარში დარტყმებით აშკარად გამორჩეული ფიგურა. ვინც პირლოს ჯარიმებს დაკვირვებიხართ, დაგვეთანხმებით, რომ მისი დარტყმული ბურთი ჯერ კედელს აღმავალი ტრაექტორიით ევლება, შემდეგ კი რომელიღაც წერტილში ტრაექტორიას იცვლის, მკვეთრად იწყებს დაშვებას და კარში უშუალოდ ხარიხის ქვეშ ეშვება.

ადრიანო გალიანიმ დასძინა: „ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენი ბურთი სწორედ ის არის, რომლითაც ფიფა მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვას აპირებს.“

შეგახსენებთ, რომ ამასწინად თავად პირლომაც აჰხადა მისებურ საჯარიმოს საიდუმლოს ფარდა:

„დარტყმისას ბურთს ფეხის გარე სამ თითს ვახებ“.

**ბაჩუნა ძედია**

# კანი გაიწელა

**34 წლის** ოლივერ კანმა „ბაიერნთან“ 2008 წლის 30 ივნისამდე გააგრძელა კონტრაქტი, რომელიც მომავალ ზაფხულს იწურებოდა.

კლუბთან თავ-თავისი გარიგება გაახანგრძლივეს ლუსიომ, სებასტიან დაისლერმა და ოლივერ კანმაც დარჩენა ისურვა: „მსოფლიო კლასის ფეხბურთელები რჩებიან და მეც ამით საქმე გამიადვილდება. დარწმუნებული ვარ, „ბაიერნი“ კვლავაც ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იქნება“ — განაცხადა მეკარემ.

„ბედნიერი ვარ, რომ არ მიდის — თქვა ფელიქს მაგათმა — სასიხარულო ამბავია. ის ჩინებულ ფორმაშია, სტაბილურია და კვლავაც შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში.“ ოლივერ კანი გერმანიის ნომერ პირველი მეკარეა და იგი მწვრთნელმა დინო ძოფს შეადარა, რომელიც 40 წლის იყო, როცა მსოფლიოს ჩემპიონი (1982) გახდა.

„ბაიერნმა“ კანი 1994-ში „კარლსრუესგან“ შეიძინა და უკვე მეთორმეტე სეზონს ატარებს ბავარიულ კლუბში. ამ ხნის განმავლობაში მან ბლომად ჯილდოები მოიპოვა. ექვსჯერ ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა, ოთხჯერ გერმანიის თასი მოიგო, 1996-ში უეფას, ხოლო 2001-ში ჩემპიონთა თასიც აღმართა. „ბაიერნის“ კარის დარაჯი უეფამ ოთხჯერ დაასახელა ევროპის საუკეთესო მკარედ.




**ვაჟა ხუციშვილი**

# თქვენი გადახდილია



ელიო სოუზა

„**სეტუბალის**“ მწვრთნელად ელიო სოუზა დანიშნეს, რომელმაც ლუიშ მატუში შეცვალა.

სეტუბალელ ფეხბურთელებს აგვისტოს შემდეგ ხელფასი არ აეღოთ და შემოდგომაზე რამდენჯერმე გაფიცვით დაიმუქრნენ. კლუბის პატრონი ჰპირდებოდათ ვალის გასტუმრებას, მაგრამ ატყუებდათ.

გასულ ტურში „მარიტიმუსთან“ მატჩის წინ „სეტუბალის“ მოთამაშეებმა პირი შეკრეს და შეხვედრის ჩაშლას აპირებდნენ, მაგრამ პრეზიდენტმა ჩუმბიტა ნუნიეშმა ერთხელ კიდევ „მოთაფლა“ ისინი. გუნდმა „მარიტიმუსთან“ 0:1 წააგო. რასაც ლუიშ მატუშის წასვლა მოჰყვა. ნუნიეშმა ფეხბურთელების ვალი (370 ათასი ევრო) გუშინ გაისტუმრა, დროებით მწვრთნელად კი თანაშემწე ელიო სოუზა დანიშნა.

„სეტუბალი“ ამჟამად მეოთხე ადგილზეა და ხვალ „ბენფიკას“ მასპინძლობს.

**ვაჟა ხუციშვილი**


# იყიდება

1998 წელს გამოშვებული **VOLKSWAGEN PASSAT 1.9 TDI** ძრავით, ნორმალურ მდგომარეობაში, 2000 წელში ჩამოყვანილი.

ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 90 08 68




*პსჟ-ს პრეზიდენტი პიერ ბლაიო მწვრთნელ ლორენ ფურნიეს მოხსნას აპირებს და მას ალბათ პოლ ლე გუენით შეცვლის*

# ბლაიოს ლაი-ლაი

**ფურნიე**, რომელმაც გუნდი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩისგან ჩაიბარა, პრეზიდენტმა აითვალწუნა, რადგან პსჟ-მ უშუალო კონკურენტებთან ყველა შეხვედრა წააგო. არადა, პარიზული კლუბის მიზანი ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვებაა.

გასულ უქმეებზე დედაქალაქელები კორსიკაზე „აიაჩოს“ დაუზავდნენ. ახლა ცხრილში მეექვსე საფეხურზე არიან და ლიდერ „ლიონს“ 13 ქულით ჩამორჩებიან.

„ფურნიეს ამბავს იანვარში გავარკვევ — განაცხადა პიერ ბლაიომ — ჯერ არაფერი გადამწყვეტია. ჩემპიონატის დასაწყისში ოთხ მატჩში 10 ქულა ავიღეთ და მაშინ კმაყოფილი ვიყავი. მერე ვითარება აირია, 45 შესაძლებელიდან 21 ქულაზე მეტი ვერ მოვაგროვეთ და ეს უკვე აღარ მომეწონა. ასეთი გუნდით სამეულში ვერ მოვხვდებით, ამიტომ ვფიქრობ მწვრთნელის შეცვლას“.



პოლ ლე გუენი

ფურნიეს სავარაუდო შემცვლელთა შორის არიან: ბერნარ ლაკომბი, დიდიე დეშანი და პოლ ლე გუენი, რომელმაც „ლიონი“ სამჯერ გააჩემპიონა. პიერ ბლაიოს ყოფილი ლიონელის მწვრთნელად დანიშვნა სურს. „ლე გუენის გამოცდილება ჩემს გუნდს ძალიან წაადგება“ — თქვა პრეზიდენტმა.

პსჟ-ს სეზონის ბოლო მატჩი ხვალ, საფრანგეთის ლიგის თასზე „ტულუზთან“ ელის და ამ თამაშის შემდეგ ლორენ ფურნიეს წასვლა-დარჩენის საკითხი გადაწყდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კოპა სუდამერიკანა ბოკას ერგო

„**ბოკა ხუნიორსმა**“ სამხრეთ ამერიკის თასის ფინალის განმეორებით მატჩში მექსიკური „ლას პუმასი“ პენალტებით დაამარცხა და კოპა სუდამერიკანას მფლობელის ტიტულიც ღირსეულად მოირგო. ამრიგად, „ბოკას“ 15 საერთაშორისო ჯილდო დაუგროვდა, რაც აქამდე ოდენ ევროპულ გრანდებს, მადრიდის „რეალსა“ და იტალიურ „მილანს“ მოუხერხებიათ.

„ლა ბონბონერას“ არენაზე გამართული საფინალო შეხვედრის გმირი რობერტო აბონდარსიერი გამოდგა, არგენტინული გრანდის მეკარე. მან პენალტების სერიისას მოწინააღმდეგის ორი დარტყმა უკუაგდო და გადამწყვეტი დარტყმაც თავად შეასრულა. მეექვსე თერთმეტმეტრიანის დარტყმის ჟამს ბურთთან უგო იბარა მივიდა, თუმც მოულოდნელად თანაგუნდელს აბონდანსიერი ჩაენაცვლა და მექსიკელთა სერხიო ბერნალის კარიც მან აიღო.

ანგარიში 31-ე წუთზე „ბოკა ხუნიორსმა“ გახსნა — მარტინ პალერმომ სერხიო ბერნალს ლაზათიანი ქუსლურით გაუტანა. შესვენებამდე „პუმები“ გულიანი ბურთაობით ვერ დაიკვეხნიდნენ, თუმც მეორე ტაიმში მექსიკური არმადა გონს მოვიდა და მარიონიმ წონასწორობა აღადგინა. „პუმების“ ერთ-ერთი იერიშის დროს, სკიავიმ საკუთარ საჯარიმოში ბურთს ხელი შეახო... რა თქმა უნდა, პენალტი და მარიონი თავის შანსს არ კარგავს. ტაბლოზე თანაფარდობა ამის მერე არ შეცვლილა და, რადგან წინა შეხვედრა გუნდებს მსგავსი ანგარიშით 1:1 დაესრულებინათ, პატაგონიელებმა და მექსიკელებმა გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტებს მიმართეს. „ბოკადან“ თავი ინსუამ, სკიავიმ, დელგადომ და აბონდანსიერიმ გამოიჩინეს, ბაროშ შელოტომ და პალერმომ კი მეკარეს და ძელს გაარტყეს ბურთი. მექსიკელთაგან პიენდამ, კარდეტიმ და მარიონიმ გაიტანეს მაშინ, როცა აუგუსტოს და ბელტრანის გამსროლა აბონდანსიერიმ მოიგერია. ხოლო გალინდიოს სამიზნე ოდენ ძელი გამოდგა. „ეს უდიდესი გამარჯვებაა, საოცრად გახარებული ვარ“ — თქვა შეხვედრის შემდეგ დიდმა დიეგო არმანდო მარადონამ, „ბოკა ხუნიორსის“ ვიცე-პრეზიდენტმა.

**ბოკა ხუნიორსი 1:1 პუმასი**

*პენალტებით 4:3*

**გოლები: 1:0 პალერმო 31, 1:1 მარიონი (პ) 54**

**ბოკა ხუნიორსი: აბონდანსიერი, იბარა, სკიავი, დიასი, კრუპოვიესა, ბატალია, გაგო (ლედესმა (70), ბილოში (ბაროშ შელოტო 84), ინსუა, პალასიო (დელგადო 86), პალერმო.**

**პუმასი: ბურნალი, კასტრო, ვერონი, ბელტრანი, პინედა, გალდინო, პალასიოსი, აუგუსტო, და სილვა (ინიაგესი 46), ბოტერო (გარდეტი (79), მარიონი**

**მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)**

**გაფრთხილება: იბარა, აილტონი, აბონდანსიერი, გალდინო და პალერმო**

**60 000 მაყურებელი**

# დი კანიოს არსი და მრწამსი

## თავისუფლების შეზღუდვა თუ ფაშიზმთან ბრძოლა?

**საფეხბურთო** ევროპამ ბოლოხანს თემა იშოვნა — პაოლო დი კანიოს ფაშისტური მისალმება. „ლაციოს“ ვეტერანმა თავდამსხმელმა უკვე ორჯერ აღმართა ხელი. ერთხელ, წინა კვირას ლივორნოში და მეორედ ამ კვირას რომში, მშობლიურ „სტადიო ოლიმპიკოზე“. ორივე შემთხვევაში ის თავის ქომაგს შეეხმიანა და ორივეჯერ ანტიფაშისტურად განწყობილი ევროპის რისხვა დაიმსახურა.

მოკლედ, ახლა, როდესაც, როგორც მოგახსენეთ, დი კანიო და ფაშიზმი თემად იქცა, ყველამ ყურადღება მიაქცია, რომ ვეტერანს მკლავზე ფაშისტური იტალიის ლიდერისა და დიქტატორის ბენიტო მუსოლინის გამოსახულება აქვს ამოსვირინგებული.

„ბოლო კვირის მანძილზე ამტყდარ აურზაურს ერთი წუთითაც არ უმოქმედია ჩემზე. მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი, ფეხბურთს ვთამაშობდი და მგონი კარგად გამომდიოდა.“ — განაცხადა თავად დი კანიომ, რომელიც, ბუნებრივია ხელაშვერილ მისალმებაში ცუდს ვერაფერს ხედავს:

„ეს სავსებით ნორმალური მისალმებაა. ეს ჩემი არსია. ცხოვრებაში რაღაცეებისა მწამს და როგორც თავისუფალი ადამიანი ამ რწმენას გამოვხატავ. შოკში ჩასავარდნი და ამხელა ვნებათაღელვის გამოსახატავი არაფერი ჩამიდენია.“

ამასთან ერთად, ინგლისური „ვესტ ჰემის“ ყოფილი ვარსკვლავი აცხადებს, რომ პრობლემებს მემარცხენეები იწვევენ და არა მისნაირები. დი კანიო განაგრძობს:

„არის ხალხი, რომელიც ჩემს ჟესტს თითზე იხვევს და თავისი პოლიტიკური პროგრამის პროპაგანდისთვის იყენებს. თან, ეს განსაკუთრებით მოხერხებულად ახლა გამოუვიდათ, რადგან წინა ტურში ჩვენ ლივორნოში ვთამაშობდით, ლივორნო კი წითლების ქალაქია. მე ზიზღის გრძნობა ვიგრძენი იმ ხალხისადმი, რომელთაც ფეხბურთი ყურადღების მისაქცევად სჭირდებათ და ამ ამბისგან მონსტრის შექმნას ცდილობენ.“

ბოლო სიტყვები ალბათ, ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის მისამართით იყო ნათქვამი. საქმე ის არის, რომ რამდენიმე დღის წინ ბლატერმა დი კანიოს ფაშისტურ სალამთან დაკავშირებით ასე თქვა:

„ალბათ, ზოგი ფეხბურთელის საერთო ოჯახიდან მოკვეთა მოგვიწევს. ეს ამბავი ყურადღების ცენტრში გვაქვს. მინდა ყველამ იცოდეს ჩემი რეაქციაც — ფეხბურთში რაიმე ნიშნით დისკრიმინაციას არ დავუშვებ. რასიზმის წინააღმდეგ მხოლოდ ქულების დაკლებით, დისკვალიფიკაციით და შეჯიბრებიდან, თუნდაც ზედა ლიგიდან ქვედაში გაგდებით უნდა ვიბრძოლოთ. აქ ფინანსური სასჯელი არაფერს მოგვცემს. ფაშიზმი ფეხბურთის სირცხვილია.“

**პაპუნა ძედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა



არსენ ვენგერი (მარცხნივ) და ჟოზე მაურინიო ერთმანეთს თათხავენ

# მაურინიუ - ვენგერი, მორიგი რაუნდი

**არსენ ვენგერი** ეგებ ფეხბურთის ასოციაციამ დააჯარიმოს კიდეც. „ჩელსისთან“ მატჩის შემდეგ „არსენალის“ მენეჯერმა მსაჯ რობ სტაილოზს შეუტია, რობინ ვან პერსის ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალა პირველ ტაიმშიო.

„ის და მისი ლაინსმენი ერთ გუნდში იყვნენ, იმ გუნდს „ჩელსი“ ჰქვია“, უთქვამს ვენგერს. მეთოფეთა ბოსს ისიც დაუმატებია, სტაილზს მიკაელ ესიენი უნდა გაეგდო ლორენისთვის ყბაში იდაყვის თხლეშვის გამოო.

ასოციაცია ფრანგს გამოიძახებს და დაკითხავს, განაჩენს კი მერე გამოიტანს.

ვენგერს მოწმედ ვიდეოჩანაწერი მოუშველებია, სადაც ვან პერსი წესების დაცვით ილებს ბურთს.

ტიერი ანრი კი პასიურ თამაშგარეშია.

წაგებას ისიც დართვია, რომ თამაშის შემდეგ „ჩელსის“ თავკაც ჟოზე მაურინიუს ვენგერისთვის ხელი არ ჩამოურთმევია, რაც ინგლისში გაუგონარი ამბავია.

მერე მაურინიუს ისიც კი უთქვამს, ისინი განგებ იწვევდნენ ესიენს, რადგან იციან რომ პრემიერლიგაში ახალი კაცია და ბარათებით ხშირად ისჯებაო. ამაზე ვენგერს მხოლოდ გასცინებია.

მოკლედ, ამ ორის კატათაგვობანა ცნობილია.

**ირაკლი გამყრელიძე**

*სერია A-ში საშობაო არდადეგებამდე ერთი ტური დარჩენილი და ამ ერთ ტურში თუკი გამარჯვება ვინმეს სჭირდება, უპირველეს ყოვლისა სერსე კოზმი და ლუიჯი დელ ნერი არიან. ამ ორმა მწვრთნელმა შობისწინა გამარჯვებებით, შესაძლოა, თავიანთ დამქირავებლებს, კლუბების მეპატრონეებს მოულბონ გული*

# ვისი სული სურთ?

**დელ ნერიზე** ცუდად კოზმის საქმეები მიდის — „უდინეზემ“ ზედიზედ მეხუთე თამაში წააგო. ეს კვირას, „კიევოსთან“ შეხვედრაში მოხდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სეზონი, რომელიც უდინელთათვის დიდი იმედებითა და მომავალ წარმატებათა შეგრძნებით დაიწყო, ძალიან ცუდად მოტრიალდა. გუნდი, რომელიც სულ რაღაც ორი კვირის წინ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის კანდიდატი გახლდათ და საბოლოოდ უეფას თასზე გადავიდა, სერია A-ს ცხრილში მეთერთმეტე ადგილზეა. ცნობისათვის: გასულ სეზონში, ამ დროს „უდინეზე“ მეხუთე ადგილზე იყო.



სერსე კოსმიმ ზედიზედ ხუთი წააგო

ერთი სიტყვით, კოზმის საქმე ცუდადაა და თან იმდენად, რომ იტალიურ პრესაში ის უკვე გამოიტირეს. „უდინეზეს“ ახალ მწვრთნელად ზოგი ალბერტო ძაკერონის ვარაუდობს და ზოგიც ჯუზეპე პაპადოპულოს, თუმცა კლუბის პრეზიდენტმა ჯამპაოლო პოცომ „კიევოსთან“ დამარცხების შემდეგ ასე განაცხადა:

„მითქვამს და ვადასტურებ, რომ ჩემი კლუბის ყველა წევრისა მწამს, უპირველეს ყოვლისა კი კოზმის.“

დაგვეთანხმებით, პრეზიდენტის მხარდაჭერა ძალიან კარგია, მაგრამ ხვალ ოთხშაბათია, ოთხშაბათს კი „უდინეზე“ „სამპდორიას“ ხვდება და თუ ზედიზედ მეექვსე თამაშიც წააგო, მაშინ კაცმა არ იცის, რა გუნებაზე დადგება ბატონი პოცო.

თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გასაჭირში კოზმი მარტო არ არის. „უდინეზეს“ ყოფილი მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერიც მის დღეშია, თუ მისი „პალერმო“ ხვალ „ფიორენტინასთან“ წააგებს, მისი თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნაც სათუო გახდება. დელ ნერის მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ კოზმისგან განსხვავებით მას პალერმოელთა პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი არ სწყალობს. მაგალითად, ორი კვირის წინ 64 წლის პრეზიდენტი ბრძანებდა:

„ამწუთას დელ ნერის თანამდებობიდან მოხსნა არ ემუქრება, მაგრამ თუ „რომსა“ და „ფიორენტინასთან“ თამაშში საქმეები ცუდად წაგვივა, მაშინ საკუთარ თავს ასეთ კითხვას დავუსვამ: დამარცხებები დელ ნერის ბრალია თუ ჩემი, თანამდებობაზე დელ ნერი რომ დავნიშნე?“

„რომასთან“ დელ ნერი გადარჩა, „პალერმომ“ 2:1 მოიგო, თან სტუმრად, შემდეგ, გუნდმა უეფას თასზეც გაიარა ბოლო ეტაპი, მაგრამ შაბათს შინ „ლივორნოსთან“ დამარცხებამ ვინძლო ძამპარინის ძალიან გაუფუჭა გუნება.

**პაპუნა ძედია**



ლუიჯი დელ ნერის პრეზიდენტი არ სწყალობს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ედინიო საპყრობილედან დროებით გამოუშვეს

# პელეს შვილს თხუთმეტწლიანი ციხე ემუქრება



ლეგენდარული პელეს ვაჟი გუშინ ადვოკატებმა ციხიდან დაიხსნეს და 34 წლის ედინიოც სასამართლოს გადაწყვეტილებას შინ დაელოდება. შეგახსენებთ, რომ ედინიო, „სანტოსის“ ყოფილი გოლკიპერი, 6 თვის წინ პოლიციამ ნარკომაფიასთან კავშირის გამო დააპატიმრა. ფეხბურთის მეფის ვაჟი სან პაულოს ციხეში იქაურ ავტორიტეტებთან შარში გაეხვია და მეორე საპყრობილეში გადაიყვანეს. ედინიომ ურთიერთობა ვერც იქ ააწყო და... მოკლედ, ყოვლისშემძლე ადვოკატთა ჩარევის შემდეგ ექსსანტოსელი დროებით გაათავისუფლეს. თუ მართლმსაჯულებამ ედინო დამნაშავედ იცნო, პელეს მემკვიდრეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. „ფეხბურთის მეფე სულიერად არის განადგურებული. შვილის ამბავმა მასზე ძალიან ძლიერად იმოქმედა“ — ეწერა გუშინდელ ბრაზილიურ მედიაში.

ლადო ხომერიკი

# მესი, ვან ბასტენის ფავორიტი



ლეო მესი



მარკო ვან ბასტენი

ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი, ლეგენდარული მარკო ვან ბასტენი არგენტინის ეროვნული გუნდის ყმაწვილი მოიერიშის, ლეო მესის ბურთაობით მოიხიბლა. ვან ბასტენის „ნარინჯისფერთა ლეგიონი“ მესის პატაგონიასთან მოხვდა მუნდიალის C, „სიკვდილის ჯგუფში“ და ძველჩაუქი მარკოც ჟურნალისტებს მომავალ მეტოქეზე ალალად გაესაუბრა. „ლეოსნაირი ფეხბურთელები ძალიან მომწონს. ამ ბიჭს უდავოდ ტალანტი აქვს. საერთოდაც, ვფიქრობ, მსოფლიოს თანამედროვე თავდამსხმელთა შორის ლიონელ მესი ყველაზე უკეთესია“ — უთხრა ჰოლანდიელთა დამრიგებელმა არგენტინული „კლარინის“ ჟურნალისტს. ვან ბასტენს, რა თქმა უნდა, სიკვდილის ჯგუფიდან ცოცხლად გამოსვლა სურს, თუმც „ბარსელონას“ და პატაგონიის ნაკრების 18 წლის ფორვარდსაც წარმატებას უსურვებს. „ფეხბურთში ლეოს მსგავსი ფენომენები იშვიათად გამოჩნდებიან ხოლმე. ამიტომაც ძალიან ცუდია, ბარსელონელის სამუნდიალო სვლა ნაადრევად თუ შეაჩერეს. ჰოლანდიის ნაკრების მერე ყველაზე მეტად მესის წარმატება გამახარებს“ — აღიარა წარსულში თავადაც სახელგანთქმულმა მოიერიშემ.

ლადო ხომერიკი

# გალაქტიკა ლოპეს კაროს შემცვლელს დეძებს



ლოპეს კარო „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დიდხანს ვერ გაჩერდება

მადრიდის „რეალის“ მომავალი დამრიგებლის ამბავი ჯერაც არ გარკვეულა. მართალია, ამჟამად „სანტიაგო ბერნაბეუს“ გალაქტიკოსებს ლოპეს კარო მეთაურობს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, „რეალი B“-ს ყოფილი მწვრთნელი ძირითადი გუნდის თავკაცად დიდხანს ვერ დარჩება. „ლოპეს კაროს შემცვლელის ვინაობას ამ კვირაში შეიტყობთ“ — მოკლედ მოუჭრა სამეფო გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ BBC-ს კორესპონდენტს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად მიღწეული შედეგისა, სენიორ ლოპეს კარო სავარაუდოდ „რეალის“ მწვრთნელის რანგში ოთხშაბათს ბოლო თამაშს ჩაატარებს სანტანდერის „რასინგთან“...

გალაქტიკოსთა მომავალ თავკაცად არსენ ვენგერი მოიაზრებოდა, ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელი, თუმც „ელ ბუიტრემ“ (ბუტრაგენიოს მეტსახელია) მედიასთან შეხვედრაში „მეთოფეთა“ არსენას „რეალში“ მოყვანა კატეგორიულად გამორიცხა. „არსენალი“ და „რეალი“ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში უნდა დაუპირისპირდნენ. ახლა ჩვენს შორის რაიმე სატრანსფერო გარიგებაზე საუბარიც ზედმეტია. არავის არ სურს ამ ორ გუნდს შორის არსებული საუკეთესო ურთიერთობების დარღვევა“ — განაცხადა ბუტრაგენიომ. დაველოდოთ, „ელ ბუიტრე“ და პრეზიდენტი პერესი მწვრთნელად ვის დაასახელებენ.

ლადო ხომერიკი

# დეკო და მაქსი ბარსაში რჩებიან





დეკო და მაქსი ლოპესი კატალონიაში დარჩებიან

„ბარსას“ პორტუგალიელი ვარსკვლავი დეკო უახლოეს მომავალში კატალონიური გრანდის მიტოვებას არ აპირებს. ამ ბოლო ხანს სპორტულ მედიაში დეკოს „კამპ ნოუდან“ შესაძლო გადაბარგებაზე ბევრი დაიწერა. გაზეთების ცნობით, „ბარსელონას“ მომავალი ტრანსფერებისთვის ფული შემოაკლდა და სალაროს შესავსებად ლუზიტანიელს შეელევა. „არსად წასვლას არ ვაპირებ, „კამპ ნოუს“ ინჩადას ძალიან ვუყვარვარ და კლუბის უფროსობაც ჩემი „ბარსაში“ დარჩენის მომხრეა. გუნდს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, როცა ამას „ბარსელონას“ ფანები და პრეზიდენტი ხუან ლაპორტა მოინდომებენ“ — უთხრა წარმოშობით ბრაზილიელმა მოთამაშემ „მარკას“ კორესპონდენტს.

დეკოს მსგავსად, ფრანკ რაიკარდის გუნდთან გამოშვიდობებას არც „ბარსელონას“ არგენტინელ მოიერიშე მაქსი ლოპესი გეგმავს. მაქსის „კამპ ნოუს“ თავდასხმის ხაზში არსებული ძლიერი კონკურენციის გამო მუდმივად სათადარიგოებში უწევს ყოფნა. ოღონდ პატაგონიელი ფორვარდი მაინც არ ნებდება. „უამრავი კლუბიდან მივიღე სატრანსფერო შემოთავაზება, თუმც ჩემი მიზანი „ბარსაში“ დარჩენაა“ — განაცხადა ლოპესმა მედიასთან საუბრისას.

ლადო ხომერიკი

# რონალდო და ბაპტისტა ინჩასებს უჩივიან



რონალდო ლანძღვას ვერ ეგუება

ბრაზილიელმა რონალდომ მადრიდის „რეალის“ ფანობა გააკრიტიკა. კვირას კიჭამ და მისმა არმადამ „ოსასუნასთან“ შინაურ „ბერნაბეუზე“ მხოლოდ 1:1 გაახერხეს და ამით განაწყენებულმა გულშემატკივრებმაც თავისიანებს გვარიანად უსტვინეს. „ოსასუნას“ სტადიონზე მეგონა თავი. ფანები საძაგლად გვლანძღავდნენ, რაც, მე თუ მკითხავთ, არაფრით არ დაგვიმსახურებია. „რეალის“ ინჩადა უსამართლოდ გვექცევა“ — უთხრა ოკეანისგაღმელმა გალაქტიკოსმა მადრიდული „ასის“ ჟურნალისტს. რონალდო ადრე მედიასთან ინტერვიუებში სულ ეხვეწებოდა გულშემატკივრებს, თქვენგან მხარდაჭერა გვაკლია და საშინაო მატჩებში მაინც გულიანად გვიქომაგეთო. ეტყობა, წლეულს უნდილად მობურთავე „რეალი“ ინჩასებში მარტო მრისხანებას იწვევს და ისინიც რონის მუდარას უკუღმა უსრულებენ... „ასთან“ კი მადრიდელთა მეორე „ბრაზილეირომ“, ჟულიო ბაპტისტამაც დაიჩივლა — ჩანს, ხალხი ჩვენს წინააღმდეგ არის განწყობილი და ასე ხომ ვერანაირ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებთო...

ლადო ხომერიკი

*ინგლისის ნაკრების შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი, ინგლისური გაზეთების თქმით სუპერბავშვი უეინ რუნი არც მეტი არც ნაკლები პელეს გვერდით დააყენა. და კიდევ, ერიკსონმა განაცხადა თუ რუნიზე ვლაპარაკობთ, ფეხბურთელზე უნდა ვილაპარაკოთ, ხოლო მის ტემპერამენტზე ყურადღების ასეთი გამახვილება საჭირო არ არისო*

# რუნი პელეზე პელეა

## ინგლისი უნდა გაგიჟდეს

მოგეხსენებათ, რუნის ხშირად აკრიტიკებენ მისი ხასიათის გამო, როგორც მოედანზე, ასევე მოედნის გარეთ, მაგრამ ერიკსონმა თქვა:

„უეინი საგანგებო ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანია. ერთ ერთი საუკეთესოა მათ შორის, ვინც კი ოდესმე გამიწვრთნია. წარმოიდგინეთ, ის მხოლოდ 20 წლის არის და ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში უკვე 23 თამაში აქვს ჩატარებული. არ მგონია თვით პელესაც კი ჰქონოდა მის ასაკში ასეთი რამ გაკეთებული.

რუნის შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატზე ნამდვილ დიდ ვარსკვლავად წარმოჩნდეს. ევრო 2004-ზე ის ფანტასტიკურად თამაშობდა, მაგრამ პორტუგალიასთან შეხვედრაში დაშავდა და ნიჭი ბოლომდე ველარ გამოავლინა.



კოლაჟი: რუნი და პელე

რაც შეეხება პიროვნებას, ხალხს ყოველთვის უნდა, რომ კარგი ფეხბურთელი უნაკლო ადამიანი იყოს. უეინი, როგორც ფეხბურთელი გენიოსია, მას ყველაფერი აქვს, მაგრამ ამასთან ერთად მას აქვს ტემპერამენტიც. არადა, როდესაც ადამიანი ვარსკვლავია, მის ყველა არასწორ ნაბიჯს აკრიტიკებენ. მგონი ეს სწორი არ უნდა იყოს.“

და ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ: „ვფიქრობ, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვება შეგვიძლია, — განაცხადა ინგლისელთა მწვრთნელმა, — ინგლისელებისთვის 2006 წლის მუნდიალზე გამარჯვება დიდი ოცნებაა. ფანები ამაზე დაახლოებით 40 წელიწადია ოცნებობენ. ინგლისელმა მორაგბეებმა მსოფლიოს ჩემპიონობა რომ მოიგეს, ჩემმა ფეხბურთელებმა ნახეს რა ხდებოდა ქუჩებში, ლონდონში ტრაფალგარის მოედანზე. ქვეყანა გაგიჟდა და ეს ძალიან ლამაზი სიგიჟე იყო. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის შესაფერისი მოთამაშეები გვყავს და რატომ არ უნდა გავიმეოროთ იგივე?“

**პაპუნა ბედია**



სვენ გორან ერიკსონი

## კალდერონის აგრესიული სტუმარი

**შაბათს** მადრიდის „ატლეტიკოს“ არენაზე დანით შეიარაღებული კაცი შევარდა. მავანი თავგახურებული ინჩასი, რომლის ვინაობასაც ესპანური მედია ჯერჯერობით ვერ გვიმხელს, მაშინ შეიჭრა „ვისენტე კალდერონზე,“ როცა იქ „ათლეტთა“ შემადგენლობა, იქაურ ვარსკვლავ ფერნანდო ტორესის ჩათვლით, ბეჯითი წვრთნა-ვარჯიშით იყო დაკავებული. დანიანი და შიშველი კაცი „კალდერონის“ დაცვას დაუსხლტა და კარგა ხანს იკუნტრუშა შეცბუნებული ფეხბურთელების თვალწინ, სანამ რიკარდო სანჩესი, „ატლეტიკოს“ დაცვის უფროსი, გონს არ მოეგო და პირადად არ შებოჭა მხიარული წესრიგის დამრღვევი. ფანი მთვრალი აღმოჩნდა და, როგორც „ვისენტე კალდერონის“ შინაურმა ხალხმა თქვა, ათლეტებთან შეჭრამდე. ორი-სამი საათი სტადიონთა ახლოს უსაქმოდ დაბორიალობდა. მთავარია, რომ ყველაფერი უხიფათოდ დამთავრდა.

**ლადო ხომერიკი**

# ზლატან იმპროვიზატორი



იტალიის ჩემპიონატის უპირობო ლიდერი „იუვენტუსია“. ტურინელები ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებადაც მოიაზრებიან და, საერთოდ, დღესდღეობით, ყველაზე სტაბილური კლუბის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამის მთავარი მიზეზი „ბებერი ქალბატონის“ გუნდური თამაში და კლუბის თავკაცი ფაბიო კაპელოა. თუმცა, რომ არა ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ალბათ, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. 24 წლის ფორვარდს იმდენი გოლი ველარ გააქვს, რამდენიც წინა სეზონში და შეიძლება, ისეთივე თვალშისაცემი აღარ არის. რეალურად კი „იუვეს“ შეტევების სულისჩამდგმელი და ლიდერია. ცოტა ხნის წინ რუსულმა „სპორტ ექსპრესმა“ მას საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა.

**— ამბობენ, სერია A-ში ლეგიონერებს მეორე სეზონში უფრო უჭირთ, ვიდრე პირველშიო...**

— ამაზე ჯერ არ დავფიქრებულვარ, სერია A-ში ადვილი სეზონი არ არსებობს და მისი ნაწილებად დაყოფა სწორად არ მიმაჩნია.; მთავარია, შენი გუნდი იგებდეს და მისთვის სარგებლობა მოგქონდეს.

**— მიმდინარე ჩემპიონატში თქვენ ათზე მეტი საგოლე პასი გააკეთეთ. მოგწონთ ასისტენტის როლში ყოფნა?**

— ჩემი აზრით, ერთ წელიწადში „იუვენტუსში“ ბევრად მეტი ვისწავლე, ვიდრე „აიაქსში“ გატარებულ სამ სეზონში. შესაძლოა, საქმე ტაქტიკაშია. ადრე სულ 4-3-3-ით ვთამაშობდი და სივრცე ცოტა მქონდა. „იუვენტუსში“ კი ბევრად მეტი მაქვს და ასისტენტობის საშუალებაც მეძლევა.

**— რა გავლენა მოახდინა თქვენზე ფაბიო კაპელომ?**

— კიდევ ერთხელ ვიტყვი, იგი გენიალური მწვრთნელია. ძალიან მიხარია, რომ კაპელომ სწორედ მე ამირჩია და მადლიერი ვარ. მან საუკეთესო თვისებები გამომავლენინა და გავიზარდე, როგორც ფეხბურთელი... ასევე, როგორც ადამიანი.

**— შესაძლოა, მართლაც, გაიზარდეთ, მაგრამ კაპელო მაინც ძალია, ხშირად გსაყვედურობთ მინდორზე ზედმეტი თვითნებობისა და ეგოიზმისთვის.**

— მართალია, თუმც ხასიათს ვერაფერს მოვუხერხებ. მაქსიმალურად ვცდილობ, და ვეცდები, ემოციები მოვთოკო, მაგრამ მოსწონს თუ არა ვინმეს, ასეთი ვარ.

**— რაშია „იუვენტუსის“ საიდუმლო?**

—იმაში, რომ უაღრესად შეკრული გუნდი გვყავს. ვთქვათ, თუ ტრავმის გამო ერთი მოთამაშე გვაკლდება, მას მეორე ცვლის და ეს შედეგზე არ აისახება.

**— თუმც პატრიკ ვიიერას ტრავმისას საკმაოდ გაგიჭირდათ...**

— არ მითქვამს, რომ რომელიმე ლიდერის არყოფნა შეუმჩნეველი რჩება. უბრალოდ, სხვები მეტ ძალას ხარჯავენ და შეიძლება უფრო რთულად, მაგრამ გამარჯვებას მაინც ვაღწევთ. ვიეირა კი გუნდისთვის ჩინებული შენაძენი გამოდგა. იგი ბრწყინვალე და ძალიან გამოცდილი მოთამაშეა. ფრანგს მხოლოდ ჩემპიონთა ლიგა აკლია, რისი მოპოვებაც ჩვენც გვინდა და ერთად ვიბრძოლებთ.

**— როგორ ფიქრობთ, დამსახურებულად მოიპოვა რონალდინიომ „ოქროს ბურთი“?**

— მან ეს ჯილდო დაიმსახურა. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია, რომელიც ძალიან მიყვარს და მისი წარმატება მიხარია. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ რონილდინიოსი ნამდვილად არ მშურს. „ოქროს ბურთის“ მოპოვება ჩემი თვითმიზანი არ არის, ეს ბონუსის მაგვარია. თუ ოდესმე მომცემენ ცუდი არ იქნება, ხოლო თუ არა, ამაზე არ ვიდარდებ.

**— რატომ გაგაქვთ ამ სეზონში ნაკლები გოლი, ვიდრე წინაში?**

— არ ვიცი, შეიძლება, ფორტუნა ხშირად ზურგს მაქცევს. სამაგიეროდ, ბევრ საგოლე გადაცემას ვაკეთებ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია და გუნდისთვის სარგებლობა მომაქვს. მთლიანობაში უკეთ ვთამაშობ, ვიდრე წინა სეზონში.

**— იტალიაში მარკო ვან ბასტენს გადარებენ, ეს ხომ არ გაღიზიანებთ?**

— არანაირად. ვან ბასტენი ლეგენდაა და ძალიან გამიხარდება, თუ თამაშით მას მივუახლოვდები მაინც. ერთხელ ფაბიო კაპელომ მისი გოლების ვიდეოჩანაწერი მაჩვენა, რისგანაც დიდი სიამოვნება მივიღე და ზოგი რამ ვისწავლე. კაპელოს ვან ბასტენთან უმუშავია და მის თვისებებს ძალიან კარგად იცნობდა. სწორედ ამიტომ მთხოვა, ჰოლანდიელისთვის მიმებაძა.

**— კიდევ რა გირჩიათ და გასწავლათ მწვრთნელმა?**

— წონაში მომატება მთხოვა. ადრე 82 კილოვ იყავი, ახლა 95 ვარ. ეს მცველებთან ორთაბრძოლისას მეხმარება, მათთვის უფრო მოუხელთებელი გავხდი. თანაც რა სისწრაფე და ტექნიკაც მქონდა, არ დამიკარგავს.“?

**— თუ იტალიის ჩემპიონატში „იუვენტუს[illegible] ფავორიტია, ჩემპიონთა ლიგაში საქმე ცოტა სხვაგვარადაა. რის იტყვით თქვენ ამჟამინდელ მეტოქეზე, ბრემენის „ვერდერზე,“**

— გერმანულ კლუბებთან ჭიდილი ყოველთვის ძნელია. ისინი არასდროს ნებდებიან, თუნდაც დიდი სხვაობით მარცხდებოდნენ. თუმც „ვერდერის“ და შემდეგ სხვა მეტოქეების ძლევის იმედი მაინც მაქვს.

**— ეროვნულ ნაკრებზე რას იტყვით. რა შანსები აქვს შვედეთს?**

— თავდაპირველად ჯგუფიდან გასვლაზე ვიფიქრებთ, დანარჩენი კი მერე გამოჩნდება. თუნდაც საბერძნეთმა დაამტკიცა, რომ შანსი ყველას აქვს, მაგრამ ობიექტურად თუ ვიტყვით, შვედეთს ფინალში გასვლა ძალიან გაუჭირდება, მის მოგებაზე რო აღარაფერი ვთქვათ.

**— ვის მიიჩნევთ მუნდიალის ფავორიტად?**

— რა თქმა უნდა, ბრაზილიას. ეს ფანტასტიკური გუნდია. უბრალოდ, გვარების ჩამოთვლითაც კი შეიძლება, თავბრუ დაგეხვიოთ. სხვებზე მეტი შანსები აქვთ არგენტინას, იტალიას, ჰოლანდიასა და საფრანგეთსაც. ასევე გერმანიას, რომელიც მასპინძლის რანგში მოგვევლინება. არ გამოვრიცხავ, რამე სიურპრიზსაც.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრით რომელმა ნაკრებმა გაგაკვირვათ?**

— ტრინიდადმა და ტობაგომ. მათ მუნდიალზე მოხვედრას ნამდვილად აღარ ველოდი. ასევე მოულოდნელი გახლდათ კამერუნისა და თურქეთის სიმპათიური ნაკრებების ჩემპიონატს მიღმა დარჩენა.

**— იტალიაში დღემდე ახსოვთ ევრო 2000-ზე „სკუადრა აძურას“ კარში თქვენ მიერ ქუსლით გატანილი გოლი. როგორ გამოგდით ასეთი შედევრები?**

— ყველაფერი ბუნებრივად გამოდის. ცოტა ხნის წინ სერია A-ში „რომას“ კარში ისეთი გოლი გავიტანე, რომ თავადვე წამომცდა — მამა მია, ეს რა გავაკეთე! მართლაც, პატარა შედევრი გამოვიდა, მაგრამ ამისთვის არ ვემზადებოდი. უბრალოდ, ძალიან მიყვარს იმპროვიზაცია.

**— მიიჩნევენ, რომ იტალიური ფეხბურთი უხეშია. ეს არ გაშინებდათ, როდესაც აპენინებზე მოდიოდით?**

— ჩემი შეშინება რთულია. ის უბანი რომ გენახათ, სადაც გავიზარდე, დარწმუნდებოდით. გარშემო იმდენი „მაგარი ბიჭი“ იყო, რომ, იძულებული გავხდი, თავდაცვა მესწავლა. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ ვცემ პატივს აღმოსავლურ სპორტის სახეობებს, ვიდრე, ვთქვათ, სათხილამურო სპორტს, რომელიც შვედეთში ძალიან პოპულარულია.

**— თუმცა თხილამურებზე დგომა, ალბათ, იცით...**

— ღმერთმა დამიფაროს, არც მინდა! სიმართლე გითხრათ, არც ვაპირებ. ზამთრის სპორტისთვის ნამდვილად არ გამოვდგები.

**— ანუ ტურინის ზამთრის ოლიმპიადას თვალყურს არ მიადევნებთ?**

— რატომ? ზოგიერთ სახეობას ტელევიზორში ვუყურებ. განა მხოლოდ ფეხბურთი მიყვარს. თუმცა ზამთრის ოლიმპიადას მაინც ზაფხულისა მირჩევნია.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 233 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |

### იტალია. სერია A

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 87 | პარმა-კალიარი | 2.05 | 3.10 | 3.60 | 1.23 | 1.30 | 1.66 |
| 23:30 | 88 | რომა-კიევო | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:30 | 89 | ინტერი-ემპოლი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 23:30 | 91 | ლეჩე-ლაციო | 2.65 | 2.90 | 2.60 | 1.38 | 1.31 | 1.37 |
| 23:30 | 92 | ლივორნო-მილანი | 4.10 | 3.20 | 1.85 | 1.79 | 1.27 | 1.17 |
| 23:30 | 93 | ფიორენტინა-პალერმო | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 23:30 | 95 | მესინა-რეჯინა | 2.15 | 2.90 | 3.60 | 1.23 | 1.34 | 1.60 |
| 23:30 | 96 | უდინეზე-სამპდორია | 2.35 | 2.90 | 3.05 | 1.29 | 1.32 | 1.48 |
| 23:30 | 97 | იუვენტუსი-სიენა | 1.15 | 5.70 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.13 |
| 23:30 | 99 | ასკოლი-ტრევიზო | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |

### იტალია. სერია B

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 100 | მოდენა-ატალანტა | 2.25 | 2.80 | 3.10 | 1.24 | 1.30 | 1.47 |
| 23:30 | 101 | ტრიესტინა-ბარი | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 23:30 | 102 | კატანძარო-ბოლონია | 2.80 | 2.70 | 2.55 | 1.37 | 1.33 | 1.31 |
| 23:30 | 103 | ალბინოლეფე-კატანია | 3.30 | 2.70 | 2.20 | 1.48 | 1.32 | 1.21 |
| 23:30 | 104 | ვერონა-ჩეზენა | 2.10 | 2.70 | 3.50 | 1.18 | 1.31 | 1.52 |
| 23:30 | 105 | ბრეშა-კროტონე | 1.70 | 3.00 | 4.80 | 1.08 | 1.25 | 1.84 |
| 23:30 | 106 | აველინო-ტერნანა | 2.30 | 2.70 | 3.20 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 23:30 | 107 | კრემონეზე-ტორინო | 3.50 | 2.80 | 2.10 | 1.55 | 1.31 | 1.20 |
| 23:30 | 108 | რიმინი-ვიჩენცა | 2.05 | 2.80 | 3.60 | 1.18 | 1.30 | 1.57 |

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 109 | პესკარა-მანტოვა | 2.65 | 2.70 | 2.70 | 1.33 | 1.33 | 1.35 |
| 23:30 | 110 | არეცო-პიაჩენცა | 2.00 | 2.80 | 3.80 | 1.16 | 1.31 | 1.61 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 134 | ბარსელონა-სელტა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 129 | ბეტისი-ალავესი | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 23:00 | 130 | სარაგოსა-ბილბაო | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:00 | 133 | სოსიედადი-კადისი | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 23:00 | 136 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 23:45 | 138 | ვალენსია-მალიორკა | 1.40 | 3.90 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.56 |
| 23:00 | 139 | რეალი-რასინგი | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| 23:00 | 140 | ხეტაფე-სევილია | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| 23:00 | 141 | მალაგა-ვილიარეალი | 2.95 | 3.10 | 2.30 | 1.51 | 1.29 | 1.32 |

**22 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 131 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |

### ესპანეთი. II დივიზიონი

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 144 | ტენერიფე-ფეროლი | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| 20:30 | 147 | რეალი(ბ)-ლეიდა | 1.85 | 3.00 | 4.10 | 1.14 | 1.27 | 1.73 |

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 142 | სერესი-ალბასეტე | 1.80 | 3.00 | 4.55 | 1.12 | 1.28 | 1.80 |
| 23:30 | 143 | სიუდადი-ელჩე | 2.35 | 2.80 | 3.10 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| 23:30 | 145 | ნუმანსია-ტარაგონა | 2.25 | 2.80 | 3.20 | 1.24 | 1.32 | 1.49 |
| 22:00 | 146 | ვალიადოლიდი-ლევანტე | 2.15 | 2.90 | 3.45 | 1.23 | 1.32 | 1.57 |
| 23:45 | 149 | ალმერია-მალაგა ბ | 1.80 | 3.10 | 4.20 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| 23:45 | 150 | პერკულესი-მურსია | 2.05 | 2.90 | 3.70 | 1.20 | 1.31 | 1.62 |
| 23:45 | 151 | სპორტინგი-ეხიდო | 1.95 | 3.00 | 3.90 | 1.18 | 1.29 | 1.69 |

**22 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 148 | ეიბარი-ლორკა | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 23:00 | 152 | კასტელონი-უელვა | 3.70 | 2.90 | 2.00 | 1.62 | 1.29 | 1.18 |

### პორტუგალია. სუპერლიგა

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 169 | სპორტინგი-რიუ ავე | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 171 | აკადემიკა-ბელენენსეში | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 172 | სეტუბალი-ბენფიკა | 3.20 | 3.00 | 2.20 | 1.54 | 1.30 | 1.26 |
| 23:15 | 173 | ჟილ ვისენტე-ბრაგა | 2.80 | 3.00 | 2.35 | 1.44 | 1.27 | 1.31 |
| 20:00 | 174 | ფერეირა-მარიტიმუ | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 21:00 | 176 | ლეირია-ნავალი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |

**22 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 170 | პენაფიელი-ამადორა | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| 23:15 | 175 | ბოავიშტა-ნასიონალი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 177 | გიმარაეში-პორტუ | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |

### გერმანია. თასი

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 188 | არმინია-უნტერჰახინგი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 22:00 | 189 | ფრაიბურგი-მიუნხენი 1860 | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:30 | 190 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 191 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 22:00 | 192 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 22:00 | 193 | ზტ.პაული-ჰერტა | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 22:00 | 194 | ჰანზა-ოფენბახი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 23:30 | 195 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**ინგლისი. თასი**

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 198 | უიგანი-ბოლტონი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 23:45 | 199 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 196 | დონკასტერი-არსენალი | 6.50 | 3.80 | 1.45 | 2.39 | 1.18 | 1.04 |
| 23:45 | 197 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |

**საფრანგეთი. თასი**

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 200 | ნიცა-სედანი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 23:00 | 201 | გენგამი-კაენი | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 23:45 | 202 | ბორდო-ნანტი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 203 | ტულუზი-პსჟ | 2.65 | 2.80 | 2.65 | 1.36 | 1.32 | 1.36 |
| 23:00 | 204 | ნანსი-ლორიანი | 1.70 | 3.20 | 4.60 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| 23:00 | 205 | ოსერი-ლე მანი | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| 23:00 | 206 | მონაკო-ლილი | 1.90 | 2.90 | 4.10 | 1.14 | 1.29 | 1.69 |
| 23:00 | 207 | მონპელიე-აიაჩო | 2.50 | 2.80 | 2.75 | 1.32 | 1.30 | 1.38 |

**ჰოლანდია. თასი**

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 215 | ჰერენვენი-ვენლო | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 23:00 | 216 | მაასტრიხტი-ტილბურგი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 23:45 | 217 | პსვ-ტვენტე | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |

**თურქეთი. თასი**

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 221 | მალათია-გალათასარაი | 4.20 | 3.30 | 1.70 | 1.84 | 1.21 | 1.12 |
| 19:30 | 224 | კაისერი-დენიზლი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 222 | ფენერბაჰჩე-გაზიანთეფი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 16:00 | 223 | სამსუნი-კონია | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |

**ინგლისი LDV Vans Trophy**

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 225 | კიდერმინსტერი-ბრედფორდი | 3.35 | 3.20 | 1.95 | 1.63 | 1.23 | 1.21 |
| 23:45 | 226 | ტრანმერი-კარლაილი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 23:45 | 227 | ჩელტენემი-ოქსფორდი | 1.90 | 3.20 | 3.45 | 1.19 | 1.22 | 1.66 |
| 23:45 | 228 | დონსი-კოლჩესტერი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 23:45 | 229 | უოლსოლი-უიკომბი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 231 | ჰერეფორდი-სკანთორპი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 342 | სოდერტელიე-ლინჩოპინგი | 2.50 | 4.20 | 1.85 | 1.56 | 1.06 | 1.28 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 343 | ტრჟინეცი-პარდუბიცე | 2.00 | 4.10 | 2.45 | 1.34 | 1.10 | 1.53 |
| 20:00 | 344 | ვსეტინი-ზნოიმო | 2.55 | 4.20 | 1.90 | 1.58 | 1.08 | 1.30 |
| 20:30 | 345 | ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 2.05 | 4.20 | 2.30 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| 20:30 | 346 | ლიტვინოვი-ზლინი | 2.40 | 4.10 | 2.00 | 1.51 | 1.09 | 1.34 |
| 20:30 | 347 | კარლოვი ვარი-სლავია | 2.50 | 4.10 | 1.90 | 1.55 | 1.07 | 1.29 |
| 21:30 | 348 | ლიბერეცი-პლზენი | 1.40 | 4.40 | 4.10 | 1.06 | 1.04 | 2.12 |

**ჰოკეი**

**სლოვაკეთი**

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 356 | ზვოლენი-მიკულაში | 1.45 | 4.40 | 4.00 | 1.09 | 1.06 | 2.09 |
| 20:00 | 357 | ტრენჩინი-კოშიცე | 1.80 | 4.20 | 2.65 | 1.25 | 1.07 | 1.62 |
| 20:00 | 358 | ნიტრა-ჟილინა | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 20:00 | 359 | სკალიცა-მარტინი | 1.55 | 4.20 | 3.65 | 1.13 | 1.08 | 1.95 |
| 21:30 | 360 | სლოვანი-პოპრადი | 2.05 | 4.00 | 2.35 | 1.35 | 1.09 | 1.48 |

**ჰოკეი**

**გერმანია**

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 366 | კრეფელდი-კიოლნი | 2.15 | 4.10 | 2.20 | 1.41 | 1.08 | 1.43 |
| 22:30 | 367 | ინგოლშტადი-აუგსბურგი | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |
| 22:30 | 368 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.95 | 4.20 | 2.50 | 1.33 | 1.09 | 1.56 |
| 22:30 | 369 | ნიურნბერგი-აისბარენი | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 22:30 | 370 | ფრანკფურტი-იზერლონი | 1.55 | 4.40 | 3.40 | 1.14 | 1.06 | 1.91 |
| 22:30 | 371 | კასელი-დუისბურგი | 1.95 | 4.20 | 2.30 | 1.33 | 1.05 | 1.48 |
| 22:30 | 372 | მანჰაიმი-დიუსელდორფი | 2.05 | 4.20 | 2.30 | 1.37 | 1.08 | 1.48 |

**ჰოკეი. შვეიცარია**

**20 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 386 | ფრიბურგი-ამბრი | 2.05 | 4.20 | 2.30 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| 22:45 | 387 | ლანგნაუ-ციურიხი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 22:45 | 388 | ბერნი-დავოსი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 22:45 | 389 | სერვეტი-რაპერსვილი | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 22:45 | 390 | ბაზელი-კლოტენი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 22:45 | 391 | ცუგი-ლუგანო | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |

**ჰოკეი. რუსეთი**

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 397 | ავანგარდი-სიბირი | 1.20 | 5.00 | 5.80 | 1.00 | 1.00 | 2.68 |
| 19:30 | 398 | მვდ-მაგნიტოგორსკი | 4.60 | 4.50 | 1.40 | 2.27 | 1.07 | 1.06 |
| 19:30 | 399 | სევერსტალი-ლადა | 1.65 | 4.50 | 3.00 | 1.20 | 1.06 | 1.79 |
| 19:30 | 400 | ნეფტეხიმიკი-მოლოტი | 1.35 | 4.70 | 4.60 | 1.04 | 1.04 | 2.32 |
| 19:30 | 401 | ვიტიაზი-დინამო | 3.80 | 4.40 | 1.50 | 2.03 | 1.07 | 1.11 |
| 19:30 | 402 | აკ ბარსი-ცსკა | 1.65 | 4.40 | 3.10 | 1.20 | 1.07 | 1.81 |
| 20:00 | 403 | ხიმიკი-ნოვოკუზნეცკი | 1.40 | 4.60 | 4.50 | 1.07 | 1.06 | 2.27 |
| 20:00 | 404 | აკ-ს.იულაევი | 1.95 | 4.40 | 2.40 | 1.35 | 1.07 | 1.55 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:45 | 494 | რიტასი-ციბონა | 1.25 | 12.00 | 3.30 | 1.13 | 1.00 | 2.58 |
| 22:45 | 495 | პანათინაიკოსი-ულქერი | 1.12 | 12.00 | 5.50 | 1.02 | 1.00 | 3.77 |
| 23:30 | 496 | სტრასბური-აეკ | 1.50 | 12.00 | 2.40 | 1.33 | 1.00 | 2.00 |
| 23:00 | 497 | უნიკახა-რეალი | 1.55 | 12.00 | 2.30 | 1.37 | 1.00 | 1.93 |
| 23:45 | 498 | ბოლონია-ტაუ | 1.60 | 12.00 | 2.20 | 1.41 | 1.00 | 1.85 |
| 23:45 | 499 | სიენა-ცსკა | 2.20 | 12.00 | 1.60 | 1.85 | 1.00 | 1.41 |

**22 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 500 | პროკომი-მაკაბი | 3.00 | 12.00 | 1.35 | 2.40 | 1.00 | 1.21 |
| 22:15 | 501 | ეფესი-მილანი | 1.20 | 12.00 | 3.65 | 1.09 | 1.00 | 2.79 |
| 22:45 | 502 | ჟალგირისი-ოლიმპია | 1.15 | 12.00 | 5.00 | 1.04 | 1.00 | 3.52 |
| 22:45 | 503 | ოლიმპიაკოსი-ბარსელონა | 1.90 | 12.00 | 1.70 | 1.64 | 1.00 | 1.48 |
| 23:30 | 504 | პაუ-პარტიზანი | 1.55 | 12.00 | 2.30 | 1.37 | 1.00 | 1.93 |
| 23:45 | 505 | ბამბერგი-ბენეტონი | 2.80 | 12.00 | 1.40 | 2.27 | 1.00 | 1.25 |

## საქართველოს ჩემპიონატი

# კომპიუტერი

## ტექნიკოსებს ტექნიკამ აწყინა

19 დეკემბერი. ვერის ბაღი

**დინამო 98:68 სსუ**

*23:10 24:11 17:32 34:15*

**დინამო:** გულისაბედაშვილი (13), ბადრიძე (5), გვიმრაძე (22), ლაფანაშვილი (20), სუხიშვილი (18); სიგუა, ძიძიგური (10), წივწივაძე (4), დერიუგინი (4)

**სსუ:** პატარაია (14), მოდებაძე (20), გოლეთიანი (9), კორძაძე, ლ. ნოზაძე (5); ცერცვაძე, ჯიქია (2), ბენდიანიშვილი (2), ქვილითაია (2), ონიკაშვილი, მახარაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**ავიამშენი 100:98 სტუ**

*ძირითადი დრო 87:87*

*20:27 27:23 23:20 17:17 13:11*

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (11), ხოშტარია (21), მარკოიშვილი (19), მინაშვილი (23), ბ. ნოზაძე (1); წოწელია, ბ. ბერიშვილი (14), როდუმტა (11)

**სტუ:** კოხრეიძე, მიქაძე (11), ხეცურიანი (20), ლ. ლოსაბერიძე (7), ახალკაცი (6); კეიდია (14), ნინუა (3), განიძე (9), შანიძე (25), მურჯიკნელი (3), ათანელაშვილი

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**თსუ 84:62 ქუთაისი**

*22:9 20:16 24:18 18:19*

**თსუ:** ვეფხვაძე (6), ლეჟავა (14), კეშელავა (5), საყვარელიძე (13), უგრეხელიძე (14); ფანჩულიძე (11), ი. ბერიშვილი (8), სანიკიძე (5), ტყეშელაშვილი (4), ი. მაისურაძე (4), შარაბიძე (2), მარხვაშვილი

**ქუთაისი:** გ. ლოსაბერიძე (7), ნარსია (5), ყიფიანი (4), ცერცვაძე (18), კოლუაშვილი (22); ნ. შანიძე (6), ნიჟარაძე, ფურცხვანიძე, ჭულუხაძე, ბერუაშვილი, მამასახლისი

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

19 დეკემბერი. რუსთავი

**აზოტი 103:71 მაკაბი**

**ირაკლი პერტაია**



ავიამშენი — სტუ

**კუს** ნაბიჯებით, მაგრამ ქართული კალათბურთი, მაინც ვითარდება. აგერ, გუშინ, ვერის ბაღის დარბაზში ნანატრი კომპიუტერი დადგეს, რამაც მსაჯთა მაგიდაზე რამდენიმე სამუშაო ადგილი კი გააუქმა, მაგრამ ეროვნულ ჩემპონატს ცოტა ცივილური სახე მისცა.

აქამედ ასე იყო: სამდივნოდ წოდებულ მსაჯთა მაგიდასთან 4-5 ადამიანი იჯდა და ზოგს რომელი სტატისტიკური მაჩვენებლის დათვლა და ჩანიშვნა ევალა და, ზოგს — რომლის. ნამატჩევს ყველა შედეგი ჯამდებოდა, პროცენტული მაჩვენებლებიც გამოიანგარიშებოდა და თამაშის ოქმიც 15-20 წუთიანი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მზად იყო.

ახლა კი ასეა: დასრულდება მატჩი და კომპიუტერზე თითის ერთი დაწკაპუნებით თამაშის სრული ოქმი მზადაა. ყველა საანგარიშო ოპერაციას მანქანა ასრულებს. ერთი ეგაა, მასში თამაშის მსვლელობისას ოპერატიულად უნდა შეიყვანო მოედანზე მიმდინარე მოვლენები — შეცვლა, ჩაჭრა, მოხსნა, დაფარება, ჩაგდებული და აცილებული ბურთები... პრინტერიც იქვეა და, მწვრთნელ-ჟურნალისტებს მყისვე ურიგდებათ იმწუთას დასრულებული მატჩის სრული სტატისტიკა. ის კი არა, გუნდის თავკაცს შესვენებაზე შეუძლია პირველი ტაიმის სტატისტიკის მოთხოვნა, რაც ტაქტიკის შერჩევაში გვარიანად დაეხმარება.

მაშ ასე, 2005 წლის 19 დეკემბრიდან ეროვნულ ჩემპიონატში კომპიუტერმა შემოანათა, რაზეც გაცვეთილი ჭეშმარიტება გვახსენდება — ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ამ სიახლის დებიუტი „დინამოსა“ და სსუ-ს დაპირისპირებისას მოეწყო. შეხვედრა ისტორიაშია შესატანი, როგორც პირველი მატჩი, რომელის სტატისტიკაც კომპიუტერმა გამოთვალა.

ჩავცქერით ამ თამაშის ოქმს და ისე ცხადია ყველაფერი, მატჩი ნაყურებიც რომ არ გქონდეს, მაინც სრულყოფილი შთაბეჭდილება შეგექმნება.

„დინამომ“ სოხუმელები 30 ქულით დაამარცხა, მეტოქეზე 19-ჯერ მეტი ბურთი მოხსნა, 7 პასით აჯობა, 8-ჯერ მეტი ჩაუჭრა და ამდენივეთი ნაკლები ბურთი დაკარგა... ვერაფერს იტყვი, დავით უსიტაშვილი გუნდს დაუჩაგრავს და ეგ არის, ვაჟა კვარაცხელიას ბიჭები. მწვრთნელთა გვარებიც იქვეა, ოქმში და ზედ, ცხადია, მწვრთნელ-კომისართა ვინაობაცაა დაფიქსირებული.

ერთი მტკივნეული გრაფა აქვს ამ ოქმს: მაყურებლების ოდენობის გრაფა. „დინამო“ — სსუ-ს მატჩს, როგორც ოქმიდან ვიგებთ, 150 კაცი ესწრებოდა, დარბაზი კი 3000-ს იტევს.

ისე შევყევით ამ კომპიუტერულ ამბებს, რომ ტურის ცენტრალურ მატჩზე არაფერი გვითქვამს. არადა, მას ოვერტაიმი ახლდა, რაც თავისთავად გულისხმობს დაძაბულობას, ინტრიგასა და ხანდახან გაწევ-გამოწევასაც.

ჩხუბი და ვიშვიში ამჯერად არ ყოფილა, სტუ ღირსეულად შეხვდა საჩემპიონოდ მომართულ „ავიამშენთან“ მარცხს. არადა, ცოტაც რომ ეყოჩაღა, მოგებული თავად დარჩებოდა.

ეყოჩაღა კი არა, სტუ-ს ერთი კინკილა საჯარიმოს ჩაგდება მართებდა და გამარჯვებასაც, ფაქტობრივად, გაინაღდებდა, მაგრამ ტექნიკოსთა ახალბედა გამთამაშებელმა, შალვა კოხრეიძემ, ორიდან ერთი ჯარიმაც ვერ ჩააგდო.

... კოხრეიძე რომ საჯარიმოს ხაზზე დადგა, თამაშის დასრულებამდე 26 წამი რჩებოდა, სტუ კი 87:84 იგებდა და ერთი ქულა ჰაერივით სჭირდებოდა. კოხრეიძის აცილებული ავიატორებმა მოხსნეს და გიორგი მარკოიშვილმა ორქულიანი ხომ ჩააგდო და თან მეტოქეს თავი დააჯარიმებინა.

„მარკოზამ“ საჯარიმოდან ანგარიში გაათანაბრა და ტექნიკოსთა ფორვარდმა ირაკლი კეიდიამ ბოლო წამზე გამარჯვების სამიანი გააცუდა.

ოვერტაიმი ტექნიკოსთათვის კარგად დაიწყო — ლუკა შანიძემ და შიო ხეცურიანმა სტუ-ს 4-ქულიანი ლიდერობა დაუბევეს. ავიატორებს მხსნელად ლიდერთა ტანდემი — გიორგი მარკოიშვილი და ირაკლი ხოშტარია — მოევლინა, რომლებმაც 2 წუთში თავისიანებს ლიდერობა დაუბევეს.

ბოლო წუთი დაიწყო და გიორგი გაგნიძემ საჯარიმოებით დაუბრუნა ტექნიკოსებს ლიდერობა, თუმცა კვლავ ხოშტარიამ გამოიღო ხელი, ქულით კვლავ „ავიამშენი“ დაწინაურდა. სირენამდე 4 წამით ადრე სტუ-ელებმა ორი ტყორცნა მიჯრით გააცუდეს. ნიკოლაძემ საჯარიმოს ხაზიდან ორამდე გაზარდა ავიატორთა უპირატესობა. სტუ-ს თამაშის გადასარჩენად 25 წამილა რჩებოდა.

შანიძემ სამიანი ააცილა, თუმც ფარქვეშ ნაყოჩაღები შიო ხეცურიანი 17 წამით ადრე დადგა საჯარიმოს ხაზზე. ტექნიკოსებს არც აქ გაუმართლათ და ხეცურიანის გაცუდებული საჯარიმოების შემდეგ მათი საქმე მოთავდა.



ამიერიდან ეროვნული ჩემპიონატის სტატისტიკას კომპიუტერი დაითვლის

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



ზაზა ფაჩულია და დენვერელი ფრანცისკო ელსონი

# ატლანტი!

## ქორები ფრენას სწავლობენ

18 დეკემბერი

**ატლანტა 110:107 დენვერი**

*ძირითადი დრო 98:98*

**ატლანტა:** აივი, ჯონსონი (30), სმიტი (19), ჰარინგტონი (14 ქულა, 10 მოხსნა), **ფაჩულია** (35 წუთი, 15 ქულა, 13 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება); ლუ (17), ჩილდრესი (8), სტუდემაიერი (6), ტომასი (1), უილიამსი, ედვარდსი

**დენვერი:** მილერი (20), ჯონსონი (15), ენტონი (37 ქულა, 11 მოხსნა), ნახერა (11), ელსონი (5 ქულა, 15 მოხსნა); უოტსონი (12), კლეიზა (7)

**დალასი 102:95 მინესოტა**

**დალასი:** ჰოვარდი (23), ნოვიცკი (19), ტერი (14), ჰარისი (14)

**მინესოტა:** შჩერბიაკი (28), გარნეტი (20 ქულა, 16 მოხსნა), ჰადსონი (20)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ტორონტო 80:107 ფილადელფია**

**ტორონტო:** ბოში (22), ვილანუევა (15)

**ფილადელფია:** იგუდალა (26), კორვერი (23), აივერსონი (18), დალემბერტი (11 ქულა, (18 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 118:90 გოლდენ სტეიტი**

**ნიუჯერსი:** კარტერი (25), კიდი (24 ქულა, 13 პასი, 9 მოხსნა), ჯეფერსონი (17), კრსტიჩი (17)

**გოლდენ სტეიტი:** მერფი (19), დევისი (18), რიჩარდსონი (12)

**ნიუ ორლეანი 89:76 სან ანტონიო**

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (19), პოლი (17 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი), მეისონი (15), კლაქსტონი (14)

**სან ანტონიო:** ფინლი (17), პარკერი (17), დანკანი (11)

**პორტლენდი 97:92 ვაშინგტონი**

**პორტლენდი:** დიქსონი (20), ბლეიკი (14)

**ვაშინგტონი:** არენასი (29), ეტკინსი (13)

**ლეიკერსი 74:76 ჰიუსტონი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (24)

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (20), ვესლი (18), ჰედი (16)

**მარკუს კემბი,** კენიონ მარტინი, ერლ ბოიკინსი, ნენე, ვოშონ ლენარდი... აი, ტრავმირებულ დენვერელთა არასრული სია და ამასთან მიზეზიც, ეს სიმპათიური გუნდი ასე ხშირად რომ აგებს. „კლივლენდთან“ და „ნიუ ჯერსისთან“ ნამარცხევი კოლორადოელები ვეღარც ჯორჯიელ „ქორებს“ მოერივნენ — ამათ ახალაზრდულ ენთუზიამზს მთელი ძირითადი დრო გაუძლეს, დამატებითში კი არაქათგამოცლილებმა თეთრი ალამი გამოკიდეს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „დენვერის“ ხალხნაკლულობა დიდადაც ვერ აკნინებს ბოლო დროს აშკარად მოყოჩაღებულ ატლანტელებს. უკანასკნელი ხუთი შეხვედრიდან ოთხის მომგებმა „ჰოქსმა“, თქვენ წარმოიდგინეთ და, აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო ადგილსაც კი დააღწია თავი, რაც ორიოდ კვირის წინ ლამის ჯომოლუნგმაზე მაღალ მწვერვალად უჩანდა. რამდენიმე დღის წინ „ატლანტამ“ „ტორონტო“ ჩამოიტოვა, ახლა კი თანადივიზიონელ „შარლოტ ბობქეთსაც“ აუარა გვერდი.

რიგიანად ითამაშა ჩვენებურმა ზაზა ფაჩულიამ. ქართველმა ცენტრმა მეტოქის ფარზე, არც მეტი, არც ნაკლები, 8 ბურთი მოხსნა და 22-ე ატლანტურ მატჩში მე-10 ორმაგი დუბლიც შეასრულა — 15 ქულა და 13 მოხსნა. ამასთან, ზაზამ შვიდი ცდიდან შვიდივე საჯარიმო ჩააგდო. მისი წყვილი ცალქულიანებით მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 1,46 წუთით ადრე „ატლანტა“ ჯერ 93:93 გაუტოლდა „დენვერს“, მერე კი წინაც გავიდა. სტუმრები უკვე გადაღლილები ჩანდნენ, მათ ხომ მხოლოდ შვიდი ჯანმრთელი მოთამაშე მოეძევებოდათ, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა და იქაც 103:98 დაწინაურდნენ, მაგრამ ფაჩულიამ კიდევ წყვილი საჯარიმო ჩააგდო, ჯო ჯონსონმა სამიანი გაისროლა და „დენვერმა“ საბოლოოდ დაკარგა ლიდერობა. ბოლო წუთზე ჯოშ სმიტის ორიანით და ტაირონ ლუს სამიანით „ჰოქსი“ უკვე 110:105 გალიდერდა და დარჩენილ წამებში დენვერელებმა მატჩის შედეგის ვერა და, მხოლოდ ანგარიშის შეცვლა მოახერხეს.

ოკლაჰომა სიტიში საუნივერსიტეტო დარბაზს დროებით თავშეფარებულმა „ნიუ ორლეან ჰორნეთსმა“ იქვე ტეხასიდან ნასტუმრები ჩემპიონი „სან ანტონიო სფურზი“ დასცა.

მასპინძელთა გამოცდილ კაპიტან ფიჯეი ბრაუნს თავისი ახალგაზრდა და მამლაყინწა თანაგუნდელები მეტოქეზე ასე დაუგეშავს — სულ იმას ცდილობთ, ტელევიზორში მოხვდეთ და ხალხს თავი მოაწონოთ და თუ დამიჯერებთ, ჩემპიონთა დამარცხება ხალხისთვის თავის გაცნობის საუკეთესო საშუალებააო.

ჰოდა, ბიჭებიც სულ ფრენა-ფრენით დაუხვდნენ ტიმ დანკანსა და კომპანიას. დანკანზე ლამის 10 სანტიმეტრით დაბალმა დევიდ ვესტმა მასთან დუელში 19 ქულა გააჩერხა, ტონი პარკერთან შებმულ ახალბედა კრის პოლს კი სულ ერთი პასი დააკლდა კარიერის პირველ სამმაგ დუბლამდე.

კობი ბრაიანტის „ლეიკერსი“ ლოს ანჯელესშივე დაამარცხა ტრეისი მაკგრეიდის „ჰიუსტონმა“, რომელსაც აკლდა ფეხის ცერმტკივანი ვეება იაო მინგი, თუმც ამ თანაბარ ჯახში მაინც წარტაცა გამარჯვება მეტოქეს. 74:74 ანგარიშზე ტრეისი მაკგრეიდიმ დრიბლინგით შეაღწია „ლეიკერსის“ ფარქვეშეთში და ზედ სირენის წინ ჩააგდო გამარჯვების ბურთი.

**კოტე ყორშია**

# სამეფო რბოლების ლეგენდა 14

## ჯეკი სტიუარტი




დაიბადა 1939 წლის 11 ივნისს დამბარტონის საგრაფოში (შოტლანდია)

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1965-1973 წლებში

მსოფლიოს სამგზის (1969, 1971, 1973) ჩემპიონი, 1968 და 1972 წლების ვიცე-ჩემპიონი.

1965 წლის მესამე პრიზიორი

99 რბოლა, 27 მოგება, 43 (27+11+5) პოდიუმი, 17 პოულ-პოზიცია, 15 უსწრაფესი წრე, 4 დიდი სლემი, 360 ქულა

გუნდები: **BRM** (1965-67), მატრა-ფორდი (1968-69), მარჩ-ფორდი (1970), ტირელ-ფორდი (1970-73)

1988 წელს შექმნა საკუთარი გუნდი „სტიუარტ რეისინგი", რომელიც ფორმულა 1-ის ჩემპიონატებში გამოდიოდა 1997-99 წლებში (საუკეთესო შედეგი – მეოთხე ადგილი 1999 წელს)

*ჯეკი სტიუარტი ფორმულა 1-ის ისტორიაში დარჩება არა მხოლოდ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონად, არამედ მძღოლადაც, რომელმაც პირველმა აიმაღლა ხმა რბოლების უსაფრთხოების მოსაგვარებლად.*

*პრაქტიკულად დაცვის საშუალებების არარსებობის გამო იგი არცთუ იშვიათად ხდებოდა მეგობარ-კოლეგების დაღუპვის მოწმე. ამიტომ სურდა, რომ რბოლები უსაფრთხო გამხდარიყო, ხოლო მძღოლებს რისკის საკომპენსაციოდ მაღალი ანაზღაურება ჰქონოდათ.*

*ამგვარ პრობლემებთან შეჭიდება ცოტა ვინმეს თუ სურდა, თუმც საერთო სატკივარი იყო. სტიუარტმა დაამტკიცა, რომ საქმის კაციცაა. მისი უდიდესი ძალისხმევითა და აგიტაციით ტრასებზე დამცავი ბარიერები და ფართო დამჭერი ზონები მოეწყო, ორგანიზებული გახდა სახანძრო და სამედიცინო ბრიგადების მორიგეობა.*

*50-იან წლებში მრბოლები ძლივს ახერხებდნენ 10-20 ათასი გირვანქა სტერლინგის მიღებას, სტიუარტის კარიერის მიწურულს კი წლიური 200 ათასიც აღარ ჩანდა ფანტასტიკურ შემოსავლად. მან ავტორბოლაში მსოფლიოს ჩემპიონის სტატუსი კინომსახიობებისა და როკ-ვარსკვლავების დონემდე ასწია.*

*ბევრი ჩემპიონისგან განსხვავებით, ჯეკიმ ასპარეზიდან წასვლის შემდეგ უფრო გაზარდა თავისი წვლილი ავტოსპორტში და ბუნებით ფრთხილი არისტოკრატი ბოლომდე აქტიურ მებრძოლად დარჩა: „მე არასოდეს და არანაირ ვითარებაში არ ვნებდებოდი."*

*იგი ხომ წარმომადგენელია სტიუარტების ლეგენდარული გვარისა, რომლის დევიზია — „ჭრილობები სიმამაცეს გვმატებს."*

**სტიუარტების** საგვარეულო ყველაზე დიდი და სახელოვანია შოტლანდიაში. ის სათავეს იღებს XII საუკუნიდან, როცა ანგლო-ნორმანდიელი ბარონი, ვინმე უოლტერ ფიც ალანი მეფე დევიდ მეორის კარზე უმაღლეს სტიუარდად (მმართველად) დანიშნეს.

სწორედ ამ საპატიო თანამდებობიდან წარმოიშვა ეს გვარი, რომლის ყველაზე ლეგენდარული წარმომადგენელია შოტლანდიის დედოფალი მარია სტიუარტი.

ჯონ (ჯეკი) იანგ სტიუარტი დაიბადა 66 წლის წინათ დამბარტონის საგრაფოს მილტონში. სკოლაში მას ძალიან უჭირდა, რადგან უცნაური და უიშვიათესი, ეგრეთ წოდებული არისტოკრატიული დაავადება — დისლექსია სჭირდა. ასოებისგან სიტყვის შედგენა არ შეეძლო. ერთი სიტყვით, კითხვა ვერ ისწავლა. ამიტომაც, 15 წლისამ სკოლა უატესტატოდ, თუმც სიამოვნებით დატოვა და მამასთან გარაჟში დაიწყო მუშაობა, ჯერ ბენზინის ჩამსხმელად, მერე კი მექანიკოსად.

ჯეკი იმხანად ავტორბოლაზე არც ფიქრობდა, სროლით იყო გატაცებული და წარმატებებსაც აღწევდა:

„ბაბუაჩემი პროფესიონალი მონადირე, მეტყევე იყო და ნადირობას, სროლას ჩვენს ოჯახში ყოველთვის პატივს სცემდნენ. მე სროლა ბევრად ადრე ვისწავლე, ვიდრე მრბოლობას დავიწყებდი. ხშირად გამოვდიოდი საერთაშორისო შეჯიბრებებშიც."

სტიუარტი ისე ზუსტად არტყამდა მიზანში, რომ 1960 წელს რომის ოლიმპიური თამაშების წინ სასტენდო სროლაში დიდი ბრიტანეთის ნაკრების კანდიდატი იყო. ფორმულა 1-ის ისტორია სხვაგვარად დაიწერებოდა, ჯეკი ოლიმპიადაზე რომ გამოსულიყო და მეთოფის კარიერა გაეგრძელებინა. მაგრამ ნაკრების ბოლო საგზურისთვის კონკურენტთან დამატებითი გაჯიბრება, რომელიც მთელი დღე გაგრძელდა, სტიუარტმა წააგო და იქიდან მოყოლებული, მისთვის სპორტული სროლა აღარ არსებობს.

ჯეკის მამა, რობერტი, ჯეელობაში მოყვარული მოტომრბოლი იყო, მერე კი საკუთარი გარაჟი გახსნა, სადაც უფროს ვაჟიშვილ ჯიმისთან ერთად მუშაობდა.

ჯეკიზე რვა წლით უფროსი ჯიმი ნიჭიერ, იმედისმომცემ ავტომრბოლად ითვლებოდა და ერთი-ორი ხმაურიანი გამარჯვებაც მოიპოვა, მაგრამ 1955 წელს ლე მანში „ასტონ მარტინით" რბოლისას ისეთი მძიმე ავარია შეემთხვა, რომ საერთოდ მიატოვა ჯირითი.

სროლიდან გულაცრუების შემდეგ უმცროს სტიუარტსაც გაუჩნდა რბოლის სურვილი. თუმც, ბუნებრივია, ჯიმის კატასტროფით დაშინებული მშობლები ამის ნებას არ დართავდნენ. ამიტომაც ჯეკი პატარ-პატარა შეჯიბრებებში გამოდიოდა ფსევდონიმით — A.N. OTHER („კიდევ ერთი").

მშობლებმა ბოლოს და ბოლოს, რა თქმა უნდა, შეიტყვეს უმცროსი ვაჟიშვილის მძღოლობის ამბავი, თუმც ცოტა უცნაურად. არისტოკრატიული ჩამომავლობის „დამსახურებით", სტიუარტების ოჯახზე რეგულარულად იწერებოდა იქაურ ჟურნალ-გაზეთებში. ჰოდა, ჯეკისა და ელენ მაკ-გრეგორის მომავალ ქორწინებასთან დაკავშირებით დაიბეჭდა ინფორმაცია, რომელშიც გაკვრით აღნიშნეს სასიძოს სარბოლო მიღწევები. ჯეკის მშობლები ლამის შოკში ჩავარდნენ, მაგრამ უკანდასახევი გზა უკვე მოჭრილი იყო.

პირველი სარბოლო გამოცდილება ჯეკი სტიუარტმა შოტლანდიურ საკლუბო დონეზე მიიღო, წრიული რბოლები კი 1961 წელს დააჭაშნიკა. საფორმულო მანქანას ჯეკი 1964 წელს გაეცნო. ეს იყო ფორმულა 3-ის „კუპერ BMS T72". ინგლისში „გუდვუდის" ტრასაზე საგამოცდო გარბენისას სტიუარტი იმხანად უკვე სახელოვან ახალზელანდიელი პილოტის ბრიუს მაკლარენის მანქანაში ჩაჯდა და მალე გააუმჯობესა მისი შედეგი. გაკვირვებულ-განაწყენებული მაკლარენი ისევ გავარდა ტრასაზე და ახალი ორიენტირიც დაამყარა, რომელიც მალევე გადახურა სტიუარტმა, რის მნახველი საჯინიბოს მეპატრონე ჯონ კუპერი ბოქსებში შევარდა ყვირილით: „სასწრაფოდ გაუფორმეთ კონტრაქტი ამ ბიჭს."

სტიუარტი ერთი წელი დარჩა „კუპერში" და ჩემპიონობაც მოიპოვა, საპირველფორმულო დებიუტი კი შედგა 1965 წლის პირველ იანვარს სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზის გათამაშებისას **BRM**-ის მანქანით. მეექვსე ადგილი მშვენიერი დასაწყისი იყო. შოტლანდიელმა ახალბედამ მთელი სეზონი შთამბეჭდავად ჩაატარა — გაიმარჯვა იტალიაში, კიდევ ოთხჯერ შედგა პოდიუმზე და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა.

მომდევნო წელს ბელგიაში, სპაფრანკორშამის ტრასაზე ბრძოლის დასაწყისშივე **BRM** სველ ასფალტზე მოუსრიალდა და გზისპირა თხრილში ჩავარდა.

მანქანის საჭის ღერძი გაილუნა, რის გამოც სტიუარტი კოკპიტში გაიჭედა და დამოუკიდებლად ამოსვლა არ შეეძლო. თანაც გახვრეტილი ავზიდან გადმოქცეული საწვავით მისი კომბინეზონი ისე გაიჟღინთა, რომ ერთიბეწო ნაპერწკალი საკმარისი იქნებოდა აფეთქებისთვის.

დამხმარე პერსონალი არსად ჩანდა. ბედად, იმავე ადგილზე მოსრიალდნენ ჯეკის გუნდელები, გრემ ჰილი და ბობ ბონდურანი, რომლებმაც, ხანძრის საშიშროების მიუხედავად, იგი ძლივს ამოათრიეს დალეწილი ბოლიდიდან:

„ოცდახუთი წუთი მანქანაში ჩაჭედილი ვიწექი. გრემმა და ბობმა, როგორც იქნა, ამომათრიეს ქანჩის დახმარებით, რომელიც ვიღაც მაყურებელს აღმოაჩნდა. ექიმები და სასწრაფო ადგილზე არ იყო, ამიტომ რაღაც ფურგონში ჩამდეს. მერე, როგორც იქნა, სასწრაფოც იპოვეს და ჯერ პირველადი დახმარების პუნქტში მიმიყვანეს, იქ კარგა ხნის ლოდინის მერე კი ლიეჟის ჰოსპიტალში წამიყვანეს, მაგრამ სასწრაფოს მძღოლს გზა აებნა და ადგილს ძლივს მივაღწიეთ. კიდევ კარგი, სერიოზული ტრავმა არ აღმომაჩნდა, მხოლოდ მაგრად ვიყავი დაჟეჟილი. მაშინ მივხვდი, რომ სამედიცინო დახმარების, ტრასების, სახანძრო უსაფრთხოების მხრივ საქმე ნორმალურად ვერ იყო."

სტიუარტმა ამ შემთხვევის შემდეგ დაიწყო აქტიური ბრძოლა მრბოლთა უსაფრთხოების ასამაღლებლად. საამისოდ კი მართლაც ვაჟკაცობა იყო საჭირო, რადგან მანამდე ხმას არავინ იღებდა. ჯეკის მშო-



შარას, დედიკოს ბიჭს ეძახდნენ, რაკი მანამდე არცთუ ცოტანი პილოტებს გლადიატორებად თვლიდნენ და ყოველწლიურად ორი-სამი მძღოლის დაღუპვა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

სტიუარტის მანამდე გაუგონარმა აქტიურობამ უსაფრთხოებისთვის შედეგი მოგვიანებით, თანდათან მოიტანა, მანამდე კი პირადად ზღაპრული საკარიერო ხუთწლედი დაუდგა. ინგლისურ BRM-დან ჯეკი 1968 წელს „მატრაში" გადაბარგდა და არც შემცდარა. ფრანგული აეროკოსმოსური კომპანიის მანქანა ყველაზე სრულყოფილი იყო იმათ შორის, რომლებითაც ცხრაწლიან კარიერაში უჯირითია.

ფანტასტიკური „მატრა-ფორდით" სტიუარტმა 1969 წელს საწყისი რვა რბოლიდან ექვსი მოიგო და სეზონის გასრულებამდე სამი ეტაპით ადრე გაინაღდა ჩემპიონობა.

არანაკლებ შთამბეჭდავი იყო 1971 და 1973 წლებში „ტირელ-ფორდით" მოპოვებული ტიტულებიც. „მატრას" ბოსიც კენ ტირელი იყო.

1972 წლის პირველობა ჯეკის არ ჩაუფლავებია — ვიცეჩემპიონობაც ხომ საქმეა, მაგრამ აშკარად იგრძნო, რომ წასვლის დრო დაუდგა. ბოლიდის მართვის მისი ფრთხილი, ერთგვარი არტისტული სტილი მოძალებულ კონკურენციას ვეღარ უძლებდა და ამიტომაც გადაწყვიტა, რომ სეზონი—73 შედეგის მიუხედავად, ბოლო იქნებოდა, თანაც:

„მე წავედი არა იმიტომ, რომ საფრთხის მეშინოდა, არამედ მეუღლისა და ოჯახის გამო. მაგრამ ზედმეტი მღელვარებისა და მითქმა-მოთქმის ასაცილებლად, ამის შესახებ ბოლომდე არავისთვის მითქვამს, ელენისთვისაც კი. თუმც კენმა ეს ამბავი სეზონის დასაწყისიდან იცოდა."

სტიუარტი იმ წელიწადს თვითონაც არ მოელოდა მორიგ ტრიუმფს, მაგრამ, მისდა სასიხარულოდ, საქმეები თავიდანვე კარგად წაუვიდა: თორმეტიდან ხუთი ეტაპი მოიგო, ორი მეორე და ერთი მესამე პოდიუმიც მიაყოლა და იტალიაში მეოთხე ადგილით ფინიშამდე ორი რბოლით ადრე მესამე გვირგვინი გაინაღდა.

„მონცაზე" ის რბოლა ერთ-ერთი საუკეთესოა ჯეკის ხანგრძლივ კარიერაში, მიუხედავად იმისა, რომ პოდიუმზეც კი არ შემდგარა. სტარტზე საშინლად გაციებული გავიდა, თანაც უშუალოდ ჯირითისას მის „ტირელს" საბურავი გაუსკდა და ლამის ქარავანის კუდში, მეოცე პოზიციაზე აღმოჩნდა. მაგრამ „ფრთხილმა გენიოსმა" თითქმის შეუძლებელი შეძლო და ფინიშის ხაზი მეოთხემ გადაკვეთა.

სეზონის დასკვნითი, ამერიკული ეტაპი სტიუარტისთვის მეტად მტკივნეული გამოვიდა: მის თანაგუნდელ ფრანსუა სევერის „ტირელი" კვალიფიკაციისას უზარმაზარი სიჩქარით ტრასიდან გავარდა, ამოყირავდა და ასე თავდაყირამ, მძღოლი კარგა დიდ მანძილზე ათრია. 29 წლის ფრანგი ადგილზე გარდაიცვალა.

უმცროსი მეგობრის დაღუპვით შეძრწუნებული შოტლანდიელი მეორე დღეს აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშებაში არ გასულა და კარიერის დასრულებაზე განაცხადა: „დღეიდან მრბოლი აღარ ვარ. მე მივდივარ და ძალიანაც ბედნიერი ვარ."

2001 წელს, მანამდე უკვე ბრიტანეთის იმპერიის ორდენოსან ჯეკი სტიუარტს ავტოსპორტში უდიდესი დამსახურებისთვის სერის წოდება ებოძა.

**გია ახალაძე**

## მსოფლიოს თასი



AFP ალტა ბადიადან

მასიმილიანო ბლარდონე ასე ზეიმობდა შინაურ იტალიაში გამარჯვებას




AFP ვალ დისერიდან

მიკაელა დორფმაისტერს კარგი ამინდიც უხარია და მორიგი ეტაპის მოგებაც

# აპენინელთა ზეიმბა ალპებში

**კაცებმა** კვირას იტალიური ვალ გარდენადან მახლობელ პატარა საკურორტო ქალაქ ალტა ბადიაში გადაინაცვლეს და სუპერსლალომში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

ადგილობრივ გულშემატკივართა გასახარად, ეს ეტაპი იტალიელთა ტრიუმფით დასრულდა — პოდიუმის პირველი და მეორე საფეხურები აპენინელებმა დაიკავეს. ამჯერად მასიმილიანო ბლარდონემ იმარჯვა, მეორე ცდა ძალიან კარგად შეასრულა და თანამემამულე დავიდე სიმონჩელის გადაასწრო.

„ყოველთვის მინდოდა, აქ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგისთვის მიმეღწია, მაგრამ, სიმონჩელისგან განსხვავებთ (2 წლის წინ მან მოიგო ეს ეტაპი), არ გამომდიოდა.

ამიტომ მიხარია, რომ ჩანაფიქრი ავისრულე".

ისე, არც სიმონჩელი იყო განსაკუთრებულად დამწუხრებული:

„მეორე ცდაზე ცოტა ავირიე და ეს პირველი ადგილის დათმობად დამიჯდა, მაგრამ მაინც არ ვთვლი თავს წაგებულად".

იტალიელი სამთო-მოთხილამურეები კი დამდეგ ოლიმპიადას სრულ მზადყოფნაში ხვდებიან და ამ სპორტის აღირებულ ფავორიტებს დიდ თავსატეხსაც გაუჩენენ. ისე კი, ტურინში გამარჯვება ალბათ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ბლარდონესთვის იქნება, ვინაიდანაც ის წარმოშობით პიემონტელია (ამ მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ტურინი).

მესამე ადგილზე კანადელი ფრანსუა ბურკი გავიდა. ამ უქმეებზე კანადელები პოდიუმზე მუდმივად იმყოფებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ აქამდე ორი დღე ზედიზედ დევიდ გუაიმ გამოიჩინა თავი.

საერთო ჩათვლის ლიდერმა, ამერიკელმა ბოდე მილერმა კი პირველივე ცდაზე წაიფორხილა და ფინიშამდე ვეღარ მიაღწია. ამერიკელის საბედნიეროდ, იგივე ბედი ეწია მის მდევარ ავსტრიელ მიხაილ ვალჰოფერსაც, ხოლო ნორვეგიელი სვინდალი საერთოდ არ მონაწილეობდა ამ ეტაპზე. ამიტომ მილერი ისევ ლიდერის წითელი მაისურით იასპარეზებს.

ქალები ისევ ფრანგულ ვალ დისერში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ამჯერად გიგანტურ სლალომში, რომელიც ავსტრიელი მიკაელა დორფმაისტერის გამარჯვებით დასრულდა. მან შაბათს სასტიკად გააკრიტიკა ეტაპის ორგანიზატორები, რომლებმაც ცუდი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, მაინც ჩაატარეს შეჯიბრი.

კვირას ამინდი უკვე ნამდვილად აღარ უშლიდა ხელს მოთხილამურეებს და დორფმაისტერმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დიდებულ ფორმაშია. მან თითქმის ორმაცდაათი წამი მოუგო თანამემამულე ალექსანდრა მაისნიცერს და ამ გამარჯვებით უფრო განიმტკიცა ლიდერობა საერთო ჩათვლაში:

„ეს გარკვეულწილად შურისძიება იყო იმაზე, რაც შაბათს მოხდა. კარგად ვიასპარეზე და თან საკმაოდ იოლადაც გამომივიდა" — თქვა გამარჯვებულმა.

მაისნიცერმა კი აღნიშნა, კარგად დავეშვი, განსაკუთრებით ტრასის ზედა ნახევარში, მაგრამ მიკაელა (დორფმაისტერი) დღეს ძალიან ძლიერი იყოო.

ხუთეულში მოხვდა შაბათის დაშვების გამარჯვებული ამერიკელი ლინდსი კილდოუც. ახალგაზრდა ამერიკელი ამჯერადაც გამოირჩეოდა.

„საკმაოდ კარგად გავიარე ტრასა, მაგრამ მიკაელა და ალექსანდრა სუპერგიგანტში ძალიან ძლიერები არიან" — თქვა მან.

ასეა თუ ისე, დორფმაისტერი კვლავ საჩემპიონო რბოლის სათავეში. მას კვალში უდგას ალექსანდრა მაისნიცერი, რომელმაც კვირას მეორე ადგილის დაკავებით გადაუსწრო კილდოუს, ხოლო ამერიკელმა შესაბამისად მესამე პოზიციაზე გადაინაცვლა.

**კახა ლომაშვილი**

### სამთოთხილამურობა

**კაცები**

*იტალია. ალტა ბადია*

**სუპერ სლალომი**

1. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) 2.27,14
2. დავიდე სიმონჩელი (იტალია) 2.27,34
3. ფრანსუა ბურკი (კანადა) 2.27,42
4. დარონ რალვესი (აშშ) 2.27,65
5. კალე პალანდერი (ფინეთი) 2.27,96

**საერთო ჩათვლა:** 1) ბოდე მილერი (აშშ) — 422 ქულა; 2) აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) — 425; 3) მიხაილ ვალჰოფერი (ავსტრია) — 420

**ქალები**

*საფრანგეთი. ვალ დისერი*

**სუპერ გიგანტი**

1. მიკაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 1.17,59
2. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 1.18,08
3. ემილი ბრიდონი (კანადა) 1.18,15
4. ფრაენც აუფდენლატენი (შვეიცარია) 1.18,26
4. ლინდსი კილდოუ (აშშ) 1.18,26

**საერთო ჩათვლა:** 1) მიკაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 466 ქულა; 2) ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) — 400; 3) ლინდსი კილდოუ (აშშ) — 327

## მსოფლიოს თასი

# დიდ-პატარა გერმანელთა თავგამოდება

**ბიათლონში** მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპს ამ უქმეებზე სლოვაკურმა ოსრბლიმ უმასპინძლა. აქ ჩატარებულმა რბოლებმა დიდი ინტერესიც გამოიწვია და თან საერთო ჩათვლაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებიც გამოიწვია.

კაცების შეჯიბრებით დავიწყოთ. ეს ეტაპი ბიათლონის ბოლო წლების აშკარა ლიდერმა, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ოქროსმედალოსანმა ოლე ეინარ ბიორნდალენიმ გამოტოვა. მის გარდა სლოვაკეთში კიდევ ორი ძლიერი ნორვეგიელი არ ჩავიდა — ლარს ბერგერი და ჰარვალდ ჰანევოლდი. ამის გამო ბევრი ფიქრობდა, რომ ამ ეტაპზე ფრანგი რაფაელ პუარე ყველაზე მეტს იაქტიურებდა და საერთო ჩათვლაში თავისი პოზიციის გამყარებას შეეცდებოდა, თუმც ამაოდ. სლოვაკეთში გერმანელებმა გამოიდეს თავი. მათ ყველა შეჯიბრი მოიგეს, ხოლო ჩატარებული სამი რბოლიდან ორჯერ პოდიუმზე მარტო გერმანელები იდგნენ.

განსაკუთრებით ვეტერანმა და მსოფლიოს თასის შარშანდელმა გამარჯვებულმა სვენ ფიშერმა გამოიჩინა თავი, რომელმაც ორი რბოლა მოიგო.

სპეციალისტები გააოცა ახალგაზრდა გერმანელების ალექსანდერ ვოლფისა და მიხაილო როშის გამოსვლამაც.

ასე რომ, ფიშერს და კიდევ ერთ ვეტერანს, რიკო გროსს, შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, მათ კარგი ცვლა ეზრდებათ.

გერმანელებმა კი დაამტკიცეს, რომ ტურინისთვის სერიოზულად ემზადებიან და იქ ნორვეგიელებს დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ.

საერთო ჩათვლაში ალექსანდერ ვოლფი გადავიდა პირველ ადგილზე, თუმც პუარეს მხოლოდ 5 ქულით უსწრებს.

რაც შეეხება ქალთა რბოლებს, აქ დიდ მოულოდნელობად იქცა შვედი ანა-კარინ ოლაფსონის დიდებული ასპარეზობა, რომელმაც ორი რბოლა მოიგო. მან საკმაოდ სტაბილურადაც ისროლა და ყველაზე სწრაფადაც ისრიალა. თუმც, მეორე მხრივ, სლოვაკური ეტაპი დამდეგი ოლიმპიადის უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულ გერმანელ კატი ვილჰელმისთვისაც საკმაოდ წარმატებული გამოდგა. ის ორჯერ აღმოჩნდა პოდიუმზე და ამის ხარჯზე საერთო ჩათვლას სათავეშიც ჩაუდგა, ხოლო ოლაფსონმა პარასკევს დროებით გალიდერებული რუსი სვეტლანა იშმურატოვა ჩამოაქვეითა მესამეზე და ახლა თვითონ უდგას კვალში ვილჰელმს.

**კახა ლომაშვილი**

### ბიათლონი. კაცები

*ოსრბლი. სლოვაკეთი*

**გამოდევნებით 12,5 კმ**

1. სვენ ფიშერი (გერმანია) 33.46,7 (0+0+0+1); 2. ალექსანდერ ვოლფი (გერმანია) +26,3 (0+0+1+1); 3. მიხაილ როში (გერმანია) +26,4 (0+0+1+2)

**საერთო ჩათვლა:** 1) ალექსანდერ ვოლფი (გერმანია) 220 ქულა; 2) რაფაელ პუარე (საფრანგეთი) 215; 3) სვენ ფიშერი (გერმანია) 199

### ბიათლონი. ქალები

*ოსრბლი. სლოვაკეთი*

**გამოდევნებით 10 კმ**

1. ანი-კარინ ოლაფსონი (შვედეთი) 32.01.7 (1+0+0+2); 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) +1.05,1 (0+1+0+1); 3. უში დიზლი (გერმანია) +1.32,3 (0+0+2+1)

**საერთო ჩათვლა:** 1) კატი ვილჰელმი (გერმანია) 251 ქულა; 2) ანი-კარინ ოლაფსონი (შვედეთი) 247; 3) სვეტლანა იშმურატოვა (რუსეთი) 242



AFP ოსრბლიდან

გერმანელმა კაცებმა ბიათლონის მორიგი ეტაპი შინა გარჩევად აქციეს

## მსოფლიოს თასი

### სათხილამურო რბოლა

**ქალები**

*კანმორე. კანადა*

**გუნდური სპრინტი**

1 გერმანია 18.38,6; 2. შვედეთი I +06,80. 3. რუსეთი +08,70

### ტრამპლინი

*ენგელბერგი. შვეიცარია*

1. იაკუბ იანდა (ჩეხეთი) 252.2 ქულა; 2. მიხაილ ურმანი (გერმანია) 246,1; 3. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) 242,6

**საერთო ჩათვლა:** 1) იაკუბ იანდა (ჩეხეთი) 552 ქულა; 2) იანე აჰონენი (ფინეთი) 435; 3) ანდრეას კუტელი (ავსტრია) 430

## მსოფლიოს ჩემპიონატი

### კარლინგი

*გევლე. შვედეთი*

**კაცები**

ფინალი

ნორვეგია - გერმანია 7:6

**ქალები**

ფინალი

კანადა - ნორვეგია 8:4

## რეგულარული ჩემპიონატი



AFP არქივიდან

პატრიკ მარლოს (№12) თავგამოდებამ მის „სან ხოსეს“ მაინც ვერ უშველა

# არაჩვეულებრივი ჯო

18 დეკემბერი

**რეინჯერსი 1:2 კოლორადო**

*0:0 1:2 0:0*

**0:1 საკიკი (34), 0:2 საკიკი (35), 1:2 ჰოლვეგი (40)**

**„კოლორადოს“** კაპიტანმა ჯო საკიკმა სულ რაღაც 19 წამში ორჯერ დაამტკიცა, რომ თუ მეკარესთან პირისპირ გავიდა, აუცილებლად გამოიყენებს და ამ საქმეში მას ბადალი არ ჰყავს. შუაგულ თამაშში სტუმართა ლიდერი პარტნიორებმა ერთი ერთზე გაიყვანეს და „არაჩვეულებრივმა ჯომ“ მყისიერი დარტყმით დალაშქრა უიკსკის კარი. ამას სარეკლამო პაუზა მოჰყვა, რომლის დროსაც საკიკი საკუთარი რეიდის შუქფარზე ყურებით ტკბებოდა.

როგორც კი თამაში განახლდა, ჯოს მორიგი გარღვევა მცველებმა წესების დარღვევით შეაჩერეს და მსაჯებმა უმალ ბულიტი დანიშნეს. ცხადია, დასარტყმელად თავად საკიკი გავიდა და ამჯერად არანაკლებ ოსტატურად გაუძვრინა შაიბა უიკს ფეხებს შუა.

სხვათა შორის, თავისი კარიერის განმავლობაში „კოლორადოს“ კაპიტანს ხუთჯერ შეუსრულებია ბულიტი და უკლებლივ ყველა გამოუყენებია, რაც ჰოკეისთვის უიშვიათესი მიღწევაა.

„სანამ ვემზადებოდი, გავიფიქრე, რომ ამჯერად მეკარე ზედა კუთხეში აღარ დამარტყმევინებდა, ამიტომაც სხვანაირად შევასრულე, ისე, კინაღამ მოიგერია უიკსმა, მაგრამ ბედმა გამიღიმა“ — თქვა ნამატჩევს საკიკმა.

**ანაჰაიმი 5:4 სან ხოსე**

*1:1 2:2 2:1*

**1:0 კუნიცი (12), 1:1 სტივენსონი (18), 2:1 ს. ნიდერმაიერი (24), 2:2 მარლო (26), 3:2 ფედორიუკი (32), 3:3 სტივენსონი (34), 4:3 მარჩანტი (45), 4:4 ს. ტორნტონი (49), 5:4 რ. ნიდერმაიერი (50)**

**ესეც** ჯო ტორნტონის პირველი უხეირო მატჩი „სან ხოსეს“ რიგებში, ამჯერად იგი მხოლოდ ერთი პასით შემოიფარგლა, ხოლო „ზვიგენები“ მასთან ერთად ჩატარებულ 7 მატჩში პირველად დამარცხდნენ.

ისე, სტუმრებმა დიდი ნებისყოფა გამოავლინეს. მათ 4-ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ „ანაჰაიმის“ მეხუთე შაიბას საკადრისი პასუხი ველარ გასცეს.

**ვაშინგტონი 3:2 ფლორიდა**

*1:1 0:1 1:1*

**1:0 კლარკი (10), 1:1 ჰორტონი (12), 1:2 შტუმპელი (37), 1:3 ოლეში (45), 2:3 საზერბი (56)**

**„ფლორიდის“** მეკარე რობერტო ლუონგომ უკვე შეაჩვია თანაკლუბელები, რომ მას პრაქტიკულად მარტოს შეუძლია მატჩის გადარჩენა, მაგრამ ამჯერად გოლკიპერმა ისე ითამაშა, რომ მხოლოდ პარტნიორები კი არა, მეტოქეებიც კი გააოგნა. ხუმრობაა, რობერტომ 53 დარტყმა მოიგერია, რაც ორი მატჩის საშუალო მაჩვენებელს უდრის. თან ამ დარტყმების მინიმუმ ნახევარი რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა. ყველაზე საუკეთესო კი ბოლო მოგერიება აღმოჩნდა, როცა ალექსანდრ ოვეჩკინის გარღვევა სასწაულებლივ გააუვნებლა.

„ულრმესი მადლობა რობერტოს, ის შეუდარებელი იყო“ — თქვა ლუონგოს პარტნიორმა, გადამწყვეტი გოლის ავტორმა როსტისლავ ოლეშმა.

„ქუდს ვიხდი მის წინაშე. როცა 55 დარტყმას აკეთებ, წესით, უნდა მოიგო, მაგრამ რობერტო სასწაულებს სჩადიოდა“ — ეს ვაშინგტონელი ბრაიან საზერბის სიტყვებია.

**ჩიკაგო 3:5 დალასი**

*0:3 1:1 2:1*

**0:1 მოდანო (1), 0:2 იოკინენი (2), 0:3 არნოტი (20), 1:3 ბელი (27), 1:4 პეროტი (36), 2:4 ჰოლმკვისტი (42), 2:5 ლეჰტინენი (50), 3:5 არნასონი (57)**

**სამველ ლარიბიანი**

**ბომბარდირები:** იაგრი (რეინჯერსი) 51(23+27), ტორნტონი (სან ხოსე) 48(12+36), ალფრედსონი (ოტავა) 47(22+25), ჰიტლი (ოტავა) 46(21+25), სპეცა (ოტავა) 46(12+34), სავარი (ატლანტა) 45(14+31), კოვალჩუკი (ატლანტა) 45(21+24), სტაალი (კაროლინა) 44(22+22), ფორსბერგი (ფილადელფია) 44(10+34), დემიტრა (ლოს ანჯელესი) 41(17+24), დაციუკი (დეტროიტი) 40(14+26), მაკეიბი (ტორონტო) 40(11+29), მარლო (სან ხოსე) 39(13+26), განიე (ფილადელფია) 37(23+14), პროსპალი (ტამპა) 37(14+23)

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| ატლანტიკა | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 34 | 20 | 10 | 4 | 106:84 | 44 |
| ფილადელფია | 31 | 19 | 8 | 4 | 119:99 | 42 |
| აილენდერსი | 31 | 16 | 13 | 2 | 101:106 | 34 |
| ნიუ ჯერსი | 32 | 14 | 13 | 5 | 94:105 | 33 |
| პიტსბურგი | 33 | 8 | 18 | 7 | 88:133 | 23 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 30 | 23 | 5 | 2 | 132:63 | 48 |
| ბუფალო | 33 | 22 | 10 | 1 | 110:104 | 45 |
| მონრეალი | 31 | 16 | 9 | 6 | 91:98 | 38 |
| ტორონტო | 32 | 16 | 13 | 3 | 104:105 | 35 |
| ბოსტონი | 33 | 11 | 16 | 6 | 96:112 | 28 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 32 | 21 | 9 | 2 | 110:100 | 44 |
| ტამპა | 33 | 18 | 12 | 3 | 104:101 | 39 |
| ატლანტა | 34 | 14 | 16 | 4 | 118:126 | 32 |
| ფლორიდა | 35 | 12 | 19 | 4 | 89:114 | 28 |
| ვაშინგტონი | 31 | 10 | 19 | 2 | 86:122 | 22 |

NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL

**დასავლეთ კონფერენცია**

| ცენტრი | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 34 | 22 | 9 | 3 | 129:92 | 47 |
| ნეშვილი | 30 | 20 | 7 | 3 | 95:85 | 43 |
| ჩიკაგო | 32 | 13 | 17 | 2 | 92:113 | 28 |
| კოლუმბუსი | 32 | 9 | 23 | 0 | 62:115 | 18 |
| სენტ ლუისი | 29 | 6 | 19 | 4 | 79:116 | 16 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 32 | 20 | 9 | 3 | 107:94 | 43 |
| კალგარი | 32 | 19 | 9 | 4 | 78:73 | 42 |
| ედმონტონი | 33 | 18 | 11 | 4 | 104:98 | 40 |
| კოლორადო | 33 | 17 | 13 | 3 | 123:110 | 37 |
| მინესოტა | 32 | 13 | 15 | 4 | 87:80 | 30 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 30 | 21 | 8 | 1 | 104:83 | 43 |
| ლოს ანჯელესი | 34 | 20 | 13 | 1 | 115:97 | 41 |
| ანაჰაიმი | 34 | 15 | 13 | 6 | 95:94 | 36 |
| ფინიქსი | 33 | 16 | 15 | 2 | 91:88 | 34 |
| სან ხოსე | 31 | 14 | 13 | 4 | 96:101 | 32 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*



# წადი

**ტურინში** წარმოადგინეს გაისად გასამართი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჰიმნი. მუსიკის ავტორი ცნობილი იტალიელი ავტორ-შემსრულებელი კლაუდიო ბალონია. სიმღერას, რომელიც ოლიმპიური თამაშების ჰიმნი გახდება ეწოდება: „წადი“.

კომპოზიცია იტალიურად და ინგლისურად შესრულდება. ჰიმნს პირველად შეასრულებენ კონცერტზე, რომელიც ამ კვირაში ოლიმპიური თამაშების მხარდასაჭერად ტურინში გაიმართება.

ამ საზეიმო შოუს გამართვა ორგანიზატორებმა რამდენჯერმე ფინანსური პრობლემების გამო გადადეს, ახლა კი, როგორც იქნა, ამ საქმეს თავი დაადგეს.

# რას იტყვის მთავარი ესკულაპი

**საერთაშორისო** ოლიმპიურმა კომიტეტმა მოიწონა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის წინადადება, რომელიც ითვალისწინებს ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ეროვნული ფედერაციების მიერ დამატებით სამი სათადარიგო მოთამაშის გუნდში შეყვანას, რომლებსაც საშუალება ექნებათ ოლიმპიური ბატალიებისას დაშავებული ჰოკეისტების შესაცვლელად.

როგორც ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პრეს-სამსახური იუწყება, ტრავმირებული მოთამაშეების შეუძლოდ ყოფნა ოლიმპიური ტურნირისას უნდა დაადასტუროს თავად ჰოკეის საერთაშრისო ფედერაციის მთავარმა ექიმმა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის წარმომადგენელმა.






ბუჩუკა ფოთოლაშვილის ფოტო

მაკა ჩახნაშვილი

# ჩახნაშვილი პირველია, მაგრამ... 246-ე

**გუშინ** მსოფლიო ჩოგბურთის ასოციაციამ ახალი რეიტინგსია გამოაქვეყნა. წლის ბოლომდე ტურნირები აღარ იმართება, თუმც ეს სია საბოლოო მაინც არაა. მოცემული ქულები და ადგილები მომავალ კვირაში ერთხელაც შეიცვლება და სეზონიც შეჯამდება.

ქართველ ქალთაგან საუკეთესო მაჩვენებელი კვლავ მაკა ჩახნაშვილს აქვს. ისრაელში ორი 10-ათასი დოლარის საპრიზო ფონდიანი ტურნირის მოგების შემდეგ იგი დაახლოებით 30 საფეხურით დაწინაურებას ელის, გუშინდელი მონაცემებით კი მხოლოდ ხუთით წაიწია, 251-ე ადგილიდან 246-ეზე გადაინაცვლა.

ჩახნაშვილის შემდეგ სოფო მელიქიშვილი და სალომე დევიძე მოდიან, რომლებიც შესაბამისად 375-ე და 478-ე ადგილებზე არიან. სოფომ წინა რეიტინგთან შედარებით ორი ნაბიჯით წაიწია წინ, ხოლო სალომემ ერთით დაიხია უკან.

ათასეულში კიდევ სამი ქართველია. ია ჯიქია 684-ეა, მანანა შაფაქიძე 740-ე, ხოლო ნანა უროტაძე 852-ე. ამათგან ყველაზე დიდი პროგრესი 16 წლის შაფაქიძემ განიცადა. წინა რეიტინგით იგი 69 ადგილით უკან, 809-ეზე იმყოფებოდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**




მობერებულა, მაგრამ კვლავაც დიდოსტატია. ყოველ შემთხვევაში, ერთ ტკბილ შოუს ეყოფა. წარსულის დიდი ჩემპიონი კატარინა ვიტი კარმენს ცეკვავს პრაღის საშობაო შოუზე.

# ერიკ მექვიშე

მაშ, დიახ, როგორ არა... ერიკ კანტონა თავის ძველ სიყვარულს, პლაჟის ფეხბურთს არა ღალატობს და მალიმალ გამოჩნდება ხოლმე მსოფლიოს პლაჟებში.



# ზღვაოსნის ოჯახი

ეს ვაჟკაცური იერის კაცი გარსაქვეყნო ნაოსნობაში ჩართული ინგლისელი, მაიკ ჰარპერია, ვინც თავის კოხტა ცოლ-შვილთან შეხვედრით ხარობს. რეგატაში ათი ნავი ჩაბმულა, მორიგი გაჩერება კი პერტშია. ჰოდა, ცოლ-შვილიც იქ დახვედრია მაიკს.





# ჩემპიონი გოგო

ლინდსი კილდოუმ უკვე მეორედ მოიგო მსოფლიო თასი სწრაფდაშვებაში. ვალ დისერში იქაური განთქმული ძროხებიც კი მშვენიერ თილისმად გამოდგება.

# ზედახორა

გაიჭყლიტა ტომ ბრედი, მაგრამ ამერიკული ბურთაობის არსიც ეს არის. ნიუ ინგლენდელი ბიჭები ტამპელთა დაწოლისგან მსაჯის სასტვენით იხსნიან თავს. აქ საქმე ისაა, როგორ წაიქცე და სად.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge